ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 28 ივნისი, 2017 №151 (7386) ფასი: 50 თეთრი

გივი თარგამაძე: „რაც ჩვენს დროს მანკიერი იყო, ახლა ასჯერ უფრო გაზრდილი და ასჯერ უფრო მავნებლურია“

გვ.4

27 ივნისიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

მეუფე დიმიტრი მეუფე იაკობის წინააღმდეგ

გვ.5

დეკანოზ გიორგი მამალაძეს სამღვდელო ხარისხი შეუჩერეს

ზვიად კუპრავა: „ირაკლი მამალაძეს უთხრეს, ქვეყნიდან წადი და საკუთარ თავს თავად მიხედეო“

გვ.2

„არ გამიკვირდება, რომ მამა გიორგის პეპლის მტვრის შეძენა დააბრალონ“

მამუკა გამყრელიძე: „ზაალ უდუმაშვილს ამ არჩევნებში შანსი არ აქვს“



გვ.4

თენგიზ შარმანაშვილი: „მუდმივი ბოიკოტის რეჟიმში კომპრომისის მიღწევა შეუძლებელია“

გვ.3

„ირაკლი კობახიძე ჯანი ბუკიკიოს შეხვდება“

გვ.5

ჯემალ გამახარია: „რუსეთი აფხაზეთში დევნილთა დაბრუნებას არ აპირებს“

გვ.7

მიხეილ თათარიშვილი 10.000-ლარიანი გირაოთი გამოუშვეს

სუს-სა და აშშ-ის ტერორისტების შემოწმების ცენტრს შორის შეთანხმება გაფორმდა

გვ.3

ISSN 1987-9385

ანზორ ჩუბინიძე: „ბიძინა ივანიშვილი საქართველოში იმყოფება და მშვენიერ ფიზიკურ ფორმაშია“

გვ.4

ზვიად კუპრავა: „ირაკლი მამალაძეს უთხრეს, ქვეყნიდან წადი და საკუთარ თავს თავად მიხედეო“

„არ გამიკვირდება, რომ მამა გიორგის პეპლის მტვრის შეძენა დააბრალონ“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ წავიდა ქვეყნიდან ციანიდის საქმის მთავარი მოწმე, რა საერთაშორისო სკანდალი მოჰყვება ამ საქმეს, რატომ დახურეს სინამდვილეში სასამართლო პროცესი, არის თუ არა პატრიარქი ინფორმირებული და რატომ არ უშვებენ მასთან ადვოკატებს, რას გეგმავს პატიმრობაში მყოფი დეკანოზის ოჯახი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი, უფლებადამცველი **ზვიად კუპრავა** ესაუბრება.

– 23 ივნისს ციანიდის საქმის მთავარმა მოწმემ სასამართლოს ჩვენება მისცა, 2 დღის შემდეგ კი მან საქართველო დატოვა. ამას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. თქვენი აზრით, რა ხდება ამ საქმის გარშემო, რომლის მიმართაც ისედაც ბევრი კითხვის ნიშანი იყო?

– რა ხდება და პროკურატურას არა აქვს სათანადო მტკიცებულებები. სასამართლო პროცესიც სწორედ ამიტომ დაიხურა. პროკურატურას უნდა ახსოვდეს, რომ არსებობს ევროპული სასამართლოც, რომელზეც შოთაძის უწყებას გავლენები არა აქვს. ეს საქმე აუცილებლად წავა სტრასბურში და სიმართლე დადგინდება.

საქართველოში, ამ სასამართლოს პირობებში, სიმართლის დადგენის ძალიან მცირე შანსია. საქმეს მოსამართლე ბუგიანიშვილი განიხილავს. მას ადვოკატები პროკურატურის ტაბელურ მოსამართლედ მოიხსენიებენ. ამ მოსამართლემ დახურა სხდომა და საზოგადოებას წაართვა იმის შესაძლებლობა, რომ საკუთარი ყურით მოუსმინოს საუკუნის პროცესად შერაცხულ ციანიდის საქმეს.

საქმეს არ ადევს გრიფით საიდუმლო, მაგრამ პროკურატურამ ადვოკატებს გაუთქმელობაზე მოაწერინა ხელი. ეს დაცვის მხარეს მათ ხელთ არსებული ინფორმაციების გავრცელებას უკრძალავს. სამაგიეროდ, თავად პროკურატურა ასაჯაროებს იმ დეტალებს, რომელთა გასაჯაროებაც მის ინტერესებშია.

ძალიან მნიშვნელოვანია პატრიარქის ფაქტორიც. საინტერესოა, რამდენად არის ის ინფორმირებული ამ საქმესთან დაკავშირებით.

– პროკურატურამ პატრიარქს მიუტანა საქმის მასალები. მთავარი პროკუროორი პირადად იყო მისული საპატრიარქოში?

– დიახ, შოთაძე იყო მისული პროკურატურაში და მიიტანა საქმის მასალები. პატრიარქს საგამოძიებო უწყების წარმომადგენლებმა ის მასალები გააცნეს, რაც მათ ინტერესებში იყო.

ამის პარალელურად ჩვენ ვხედავთ, რომ ბრალდებულის დაცვის მხარეს არ უშვებენ პატრიარქთან და ადვოკატები თავიანთი მტკიცებულებების წარდგენას ვერ ახერხებენ. დეკანოზის ოჯახის წევრებს სურდათ, რომ ილია II-ს ადვოკატებთან ერთად შეხვედროდნენ. გარკვეულმა პიროვნებებმა ეს არ დაუშვეს. ვიღაცას არ სურს, რომ პატრიარქმა სიმართლე გაიგოს.

მას აქვს მხოლოდ პროკურატურის მიერ მიწოდებული ინფორმაციები. იმისთვის, რომ პატრიარქმა თავისი პოზიცია ჩამოაყალიბოს, მეორე მხარისგანაც უნდა მოისმინოს არგუმენტები. დღეის მდგომარეობით, მას ამის გაკეთება გაუჭირდება – ის ცალმხრივად არის ინფორმირებული.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მამა გიორგის ოჯახის წევრები თვეების განმავლობაში ითხოვდნენ პატრიარქთან შეხვედრას, რაც რამდენიმე დღის წინ ძლივს მოახერხეს. ამის პარალელურად, საპატრიარქოში პატრიარქთან ნებისმიერ დროს შეუძლიათ შესვლა ნანა კაკაბაძეს, ირმა ჭკადუას. შეფერხება არც იმ პირებს ექმნებათ, რომლებიც ციანიდის საქმეზე პროკურატურის პოზიციას იზიარებენ.

ეს ყველაფერი მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ სასამართლო ობიექტურ განაჩენს არ გამოიტანს. დეკანოზ გიორგი მამალაძის გადარჩენის ერთადერთი გასაღები არის სასამართლოს გახსნა.

– მოდით, ამ საქმის მთავარ მოწმეს, ირაკლი მამალაძეს დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, რატომ დატოვა მან საქართველო? ამის მიზეზად ის ირაკლი ფირცხალავას მიერ ციხიდან გამოგზავნილ წერილს ასახელებს. შეიძლებოდა ამ წერილის გამო დაეტოვებინა მას საქართველო?

– ირაკლი ფირცხალავას ციხიდან გამოგზავნილი წერილი პატარა ამბავი არ არის. შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი წერს, რომ მამალაძე იყო სუსის აგენტ-პროვოკატორი. მისი თქმით, ის ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს, კუდის მიერ იქნა გადაბირებული. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სუსთან გააგრძელა თანამშრომლობა. ყველა აგენტს აქვს შერქმეული სახელი. ფირცხალავა ასახელებს მამალაძის შერქმეულ სახელს – „პრესა“. ამბობს, რომ „პრესას“ დავალებული ჰქონდა ინფორმაციების მოგროვება ჟურნალისტებზე, სასულიერო პირებსა და ლგბტ თემის წარმომადგენლებზე.

აღნიშნული განცხადება სხვა პიროვნებას რომ გაეკეთებინა, ამისთვის შესაძლოა სერიოზულადაც არავის შეეხედა. ამაზე ალბათ არც პროკურატურას ექნებოდა რეაქცია და არც ადვოკატები დაინტერესდებოდნენ, ირაკლი მამალაძეც გაიცინებდა ამაზე, მაგრამ სულ სხვაა, როცა ამ ინფორმაციას ავრცელებს ირაკლი ფირცხალავა.

– რატომ აქვს ირაკლი ფირცხალავას ინფორმაციას ასეთი მნიშვნელობა?

– ეს ადამიანი წლების განმავლობაში მუშაობდა შსს-ში მაღალ თანამდებობებზე, ის ასევე წლების განმავლობაში მუშაობდა უშიშროების სამსახურში. მას ძალიან სერიოზულ ინფორმაციებზე ჰქონდა წვდომა. შსს-ში და უშიშროებაში ბევრი ადამიანი მუშაობს, მაგრამ საიდუმლო ინფორმაციებზე ყველას არ მიუწვდება ხელი.

შსს-ში ინფორმაციები გრიფირებულია ასე – საიდუმლო და სრულიად საიდუმლო. ფირცხალავა მუშაობდა მაღალ თანამდებობაზე და მას არათუ საიდუმლო, არამედ სრულიად საიდუმლო ინფორმაციებზეც ჰქონდა წვდომა. როდესაც საიდუმლო ინფორმაციებზე წვდომის მქონე პირი დეტალებს აკონკრეტებს, ეს უკვე ძალიან სერიოზულია.

– მიაქცევს ამ გარემოებას პროკურატურა ყურადღებას?

– პროკურატურა მაქსიმალურად შეეცდება, რომ ეს ინფორმაცია არ გახდეს იმაზე მეტად განხილვის საგანი, ვიდრე დღეს არის. მე ადვოკატებს ვურჩევდი, რომ ფირცხალავას განცხადებით მაქსიმალურად დაინტერესდნენ. არ იქნება ცუდი, თუ ისინი ყოფილ მაღალჩინოსანს მატროსოვის ციხეში მოინახულებენ.

– აქვთ მათ ამის უფლება?

– სტატუსიდან გამომდინარე აქვთ უფლება. მათთან შეხვედრაზე არც ფირცხალავა იტყვის უარს. მოწმე მამალაძეზე საუბარი რომ არ სდომებოდა, ამ ინფორმაციას არ გაასაჯაროებდა.

დაცვის მხარემ მთავარი მოწმის წარსულთან და აწმყოსთან დაკავშირებით უფრო მეტი უნდა გაიგოს. დაცვის მთელი სტრატეგია უნდა აიგოს ირაკლი მამალაძეზე, როგორც არასანდო მოწმის გამოვლენაზე. თუ დადგინდა, რომ ის აგენტ-პროვოკატორია, ამ შემთხვევაში მისი ჩვენება დგება ეჭვქვეშ. მოწმის ნდობის საკითხიც ეჭვის ქვეშ დადგება. სასამართლომაც თუ არასანდოდ ცნო მოწმე და მისი ჩვენება, მაშინ ეს საქმე, ჩათვალეთ, რომ დამთავრებულია.

– ასე მარტივად დაასრულებენ?

– დასრულება მოუწევთ. საგამოძიებო უწყებას მთელი საქმე აგებული აქვს მოწმე მამალაძის ჩვენებაზე, რომელმაც ფარულად ჩაიწერა დეკანოზი. სასამართლო თუ ამას არასანდოდ მიიჩნევს, მაშინ საქმე დასრულდება. შესაძლოა, ეს ფაქტორი არ გაითვალისწინოს ბუგიანიშვილმა, მაგრამ წინ არის ევროსასამართლო, რომელიც ამას აუცილებლად გაითვალისწინებს.

რაც შეეხება ქვეყნიდან ირაკლი მამალაძის წასვლას, სუსმა მიიჩნია, რომ პროკურატურის მთავარმა მოწმემ თავისი შესაძლებლობები სრულად ამოწურა და დღეს ის უსაფრთხოების სამსახურისთვის ზედმეტი ხარჯი და თავის ტკივილი გახდა. არავინ იცის, ვინ როგორ მიაწვება მას სამართლებრივად და ვისთან რას ილაპარაკებს.

მოწმე მამალაძე არაერთ გადაცემაში იყო მიწვეული. მაყურებელი კარგად ხედავდა, რომ ის არაა ის ადამიანი, რომელიც დაფიქრებულად ლაპარაკობს. მას ძალიან ადვილად შეიძლება წამოსცდეს ისეთი რაღაცები, რაც სუსისთვის მიუღებელია. ამის გარდა, პროკურატურას ის დაცვის პროგრამაში ჰყავს ჩართული. ეს პროგრამა სახელმწიფოსთვის მარტივი სიამოვნება არ არის.

მოკლედ რომ ვთქვათ, მოწმე მამალაძე აღარ სჭირდებათ. ის დამთავრდა, როგორც აგენტი. ის დამთავრებულია, როგორც ჟურნალისტი. მისთვის ინტერვიუს მიცემას არცერთი რესპონდენტი აღარ მოინდომებს. არა მგონია, ის მორალურად კარგად გრძნობდეს თავს.

მისგან დარჩა მხოლოდ ფიტული, რომელსაც უსაფრთხოების სამსახური ვეღარ გამოიყენებს. ასეთი ფიტულის შენახვა კი არავის უნდა. არსებული ვითარებიდან საუკეთესო გამოსავალი იყო საქართველოდან მისი წასვლა.

– თქვენი აზრით, ის თავისი ნებით წავიდა თუ აიძულეს?

– იძულება არ იქნებოდა. ალბათ უთხრეს, ქვეყნიდან წადი და საკუთარ თავს თავად მიხედეო. ის წავიდა და ეს ირაკლი ფირცხალავას განცხადებას დაუკავშირა. მას აუცილებლად ექნება შიში.

– ემუქრება მას რაიმე საფრთხე?

– დეკანოზ გიორგი მამალაძის ოჯახიდან არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

– სხვებისგან?

– სპეცსასამსახურებს შეიძლება ის აღარ აწყობდეთ. არაფერი არ არის გამორიცხული.

– ერთ-ერთი ვერსიით, ციანიდის საქმე ჩავარდნის პირას არის, მოწმე მამალაძე სპეციალურად გაუშვეს ქვეყნიდან, რათა ყველაფერი მას დაბრალდეს.

– საქმე თუ ჩავარდა, მამალაძეს ვერაფერს გადააბრალებენ. მან სუსს ფასდაუდებელი საქმე გაუკეთა. მან ფრიადზე იმუშავა და დეკანოზისგან მაქსიმალური ინფორმაცია ამოიღო, რისი ამოღებაც შეიძლება დავალებული ჰქონდა.

ახლა მთავარია, სასამართლო გაიხსნას, სადაც ყველაფერი თავდაყირა დადგება. ამიტომაც მიმდინარეობს საქმის განხილვა დახურულ რეჟიმში.

მამა გიორგი მამალაძეს ედავებიან, რომ მას 50 მილიონის გათეთრება სურდა. ეს დიდი ტყუილია. პროკურატურის მიერ გასაჯაროებული მტკიცებულებებიდან იკვეთება და იმავეს ამბობს საგამოძიებო უწყებაც, რომ დეკანოზს არ ჰქონდა ციანიდის შესაძენად საჭირო ფული – 500 დოლარი. ამიტომაც ცდილობდა, „პოსლეზე“ აეღო ციანიდი.

თუ ადამიანს 50 მილიონი შავი ფული აქვს, რაღას ყიდულობდა ციანიდს „პოსლეზე“? ამოიღებდა იმ ფულიდან 5 ასდოლარიანს და ასე იყიდდა საწამლავს. დამატებით ეჭვებს აღარ გამოიწვევდა.

აქამდე ამის შესახებ მე ვიცოდი და ახლა თქვენი მკითხველიც გაიგებს. მამა გიორგის ოჯახთან მაქვს კონტაქტი. სამართლებრივ კონსულტაციებს ვუწევ. მათთან ხშირი კომუნიკაცია მაქვს, ხან პირადად ვხვდები, ხან ტელეფონით ვსაუბრობთ. პირველივე შეხვედრიდანვე ჩამომიყალიბდა აზრი, რომ ეს ოჯახი არ არის მდიდარი.

მათ აცვიათ საშუალო კლასის ტანსაცმელი, აქვთ საშუალო კლასის ტელეფონები და გადაადგილდებიან საზოგადოებრივი ტრანსპორტით. თბილისში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობენ.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მამა გიორგისთვის 50 მილიონი ევროს გათეთრების დაბრალება არის აბსურდი. მას რომ ამდენი თანხა ჰქონოდა, მისი ოჯახი ასე არ იცხოვრებდა.

– იქნებ სპეციალურად არ ხარჯავდა ამ ფულს, რომ ეჭვი არავის აეღო?

– სასულიერო პირების არცთუ მცირე ნაწილი კარგად ცხოვრობს. მამა გიორგი საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე იყო და არავინ იეჭვებდა, თუ მისი ოჯახი მდიდრულად იცხოვრებდა. მას 50 მილიონი რომ ჰქონოდა, ოჯახის წევრებს თბილისში ბინას მაინც უყიდდა. მისი ოჯახის წევრებს უკეთესი ტელეფონები ექნებოდათ.

21-ე საუკუნეში ფული ბევრი რამისთვის არის საჭირო. კერძოდ, დეკანოზის საქმეში არის ისეთი საგამოძიებო სამუშაოები ჩასატარებელი, სადაც ფინანსური გარანტიები ძალიან დიდ როლს თამაშობს.

21 ივნისს მამა გიორგის ოჯახი პატრიარქს შეხვდა. საპატრიარქომ შეხვედრის ჩანაწერი გაასაჯაროვა. ჩანაწერი ინტერნეტსივრცეში განთავსდა, მერე დაიბლოკა და ცოტა ხანში ისევ აღადგინეს. ოჯახს უნდა, რომ ამ ჩანაწერს ექსპერტიზა ჩაუტაროს. სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში 35-წუთიანი ჩანაწერის ექსპერტიზა საკმაოდ ძვირი ჯდება. ოჯახს არა აქვს იმის საშუალება, რომ ჩანაწერის ავთენტურობა დაადგინოს. ოჯახს ფული არც სხვადასხვა ღონისძიების ჩასატარებლად აქვს. არადა, დღეს აუცილებელია აქციების გამართვა.

– რა აქციების?

– ოჯახი სასამართლოს გახსნის მოთხოვნით აპირებს აქციების გამართვას. აქციის მიზანი მხოლოდ სასამართლოს გახსნაა და სხვა არაფერი. ამის ორგანიზებას კი ფული სჭირდება. პლაკატებია დასაბეჭდი და მაისურებია საყიდელი. ოჯახს ამის ფულიც არა აქვს.

აქედანაც ჩანს, რომ დეკანოზს არანაირი შავი ფული არა აქვს. თუ აქვს და სადმე მალავს, მაშინ იპოვონ. 50 მილიონი ფიზიკურადაც მოცულობითია და ის აქამდე უნდა ეპოვათ. ეს ყველაფერი ძალიან დიდ აფერას ჰგავს, რომელსაც შორსმიმავალი მიზანი აქვს.

– რა მიზანი?

– ამ მიზანს პატრიარქის ტახტი ჰქვია. ეს აფერა არც სახელმწიფოს და არც ეკლესიას სიკეთეს არ მოუტანს.

ციანიდის საქმე არის საუკუნის სკანდალი. მართალია, არავის სჯერა, მაგრამ პროკურატურა უფრო სერიოზულ განცხადებებს უნდა აკეთებდეს. ჯერ გვითხრეს, მამაომ ციანიდი იყიდაო. მერე დაამატეს, უფრო ადრე გველის შხამს ეძებდაო. არ გამიკვირდება, გვითხრან, რომ მამა გიორგი პეპლის მტვრის შეძენასაც აპირებდა. ისეთ ზღაპრებს ყვებიან, რომ მგონია, ჯეჯელავაა მთავარი პროკურორი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თენგიზ შარმანაშვილი: „მუდმივი ბოიკოტის რეჟიმში კომპრომისის მიღწევა შეუძლებელია“

„ირაკლი კობახიძე ჯანი ბუკიკიოს შეხვდება“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი **თენგიზ შარმანაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრობს.

– ბატონო თენგიზ, საქართველოში ვენეციის კომისიის თავმჯდომარე ჯანი ბუკიკიო ჩამოდის, რომელიც ირაკლი კობახიძეს შეხვდება და კონსტიტუციის ახალ პროექტთან დაკავშირებით რეკომენდაციებს გააცნობს. რა სახის შეიძლება იყოს მისი რეკომენდაციები?

– ჯანი ბუკიკიო ნამდვილად ჩამოდის საქართველოში, მაგრამ ის სულ სხვა მიზნით ჩამოდის.

– რა მიზნით?

– ბათუმში საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებული ღონისძიება ტარდება და მასზე მონაწილეობის მისაღებად ჩამოდის. ამ ღონისძიებას პარლამენტის თავმჯდომარეც დაესწრება და ბუკიკიოსა და კობახიძეს შორის შეხვედრაც ნამდვილად გაიმართება.

– რა სახის რეკომენდაცია ექნება, ამის შესახებ თუ გაქვთ ინფორმაცია?

– ამ შეხვედრაზე, არ მგონია, რეკომენდაციებზე იყოს საუბარი, ეს იქნება აზრების გაცვლა.

– თუმცა, ვენეციის კომისიამ წერილობითი რეკომენდაცია შეიმუშავა და ისინი მზად არიან რეკომენდაციებისთვის.

– დიახ, შეიმუშავა და ვენეციის კომისიის ეს რეკომენდაცია ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია, საიტზე დევს და ყველას შეუძლია გაეცნოს ამ რეკომენდაციას. მოგვიანებით საბოლოო ვერსია რომ იქნება მიღებული, კიდევ ერთ დასკვნას დადებს ვენეციის კომისია. ამდენად, არ მგონია, შუაში რაიმე სახის რეკომენდაციაზე იყოს საუბარი. ეს შეხვედრა, გიდასტურებთ, რომ იქნება, მაგრამ ბუკიკიოს არ ექნება ოფიციალური რეკომენდაცია, ეს იქნება დიალოგი. თუ რამე აქვს სათქმელი, ეტყვის.

– ასეთი მოსაზრებაც გავრცელდა, რომ ვენეციის კომისიას საკონსტიტუციო ცვლილებების სულ სხვა ვარიანტი გადაუგზავნა მმართველმა პარტიამ და სრულიად სხვა ვარიანტს უყარა კენჭი მეორე მოსმენით. რეალურად რა მოხდა?

– არა, ეს არის არასწორი ინტერპრეტაცია.

– ასე არ არის?

– პარლამენტი უფლებამოსილია, რომ კანონპროექტში ცვლილებები შეიტანოს.

დეპუტატებს ჰქონდათ თავიანთი მოსაზრებები პირველი მოსმენის შემდეგ და დეპუტატების მიერ გამოთქმული შენიშვნების ნაწილი გათვალისწინებული იქნება. ეს რომ ასე შეიძლება მომხდარიყო, ამის შესახებ ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

– იყო ამის შესახებ ვენეციის კომისიისთვის ცნობილი?

– დიახ, ამის შესახებ ვენეციის კომისიისთვის ცნობილი იყო. ცნობილი იყო, რომ გუნდში აზრთა სხვადასხვაობა იყო და შეიძლება გარკვეული საკითხები ხელახლა დაზუსტებულიყო. ეს განსაკუთრებით ეხებათ მაჟორიტარებს. ეს იყო ჩვეულებრივი პროცედურა.

– ამ საკითხზე იქნება საუბარი ბუკიკიოსთან?

– ვნახოთ, შეიძლება ვენეციის კომისიის პრეზიდენტი დაელაპარაკოს ბატონ ირაკლის ამ საკითხზე. პირველი და მეორე მოსმენით შესულ შესწორებებზე ვენეციის კომისია საქმის კურსში იქნება.

– საუბარია საარჩევნო სისტემაზე, პროპორციული არჩევნების გადადებაზე?

– პროპორციული საარჩევნო სისტემა ახალ პროექტში დარჩა, მაგრამ აქ საუბარია ამოქმედების ვადებზე. ამასთან დაკავშირებით შეიძლება იყოს საუბარი, ვერ გეტყვით, ვნახოთ.

– „ქართულმა ოცნებამ“ სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა რატომ გადადო? გასაგებია, რომ ეს პოლიტიკური საკითხია, მაგრამ თქვენი პოზიცია მაინტერესებს.

– რაც შეეხება პარტიებთან ურთიერთობას, ვადებს, მის ამოქმედებას, რატომ გადადო და ა.შ., ეს ის საკითხებია, რომლებიც პოლიტიკის სფეროა. მე სამართლის ექსპერტი ვარ და ამ კითხვაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

– ერთჯერად საარჩევნო ბარიერის დაწევა 3%-მდე რამის მომცემი არის პარტიებისთვის?

– რა თქმა უნდა, თქვენ კარგად გესმით, რამდენი პარტია გადარჩება ამ გადაწყვეტილებით. ჩვენ თვალნათლივ ვნახავთ, რამდენი პარტია შევა პარლამენტში სწორედ საარჩევნო ბარიერის დაწევით.

– ოპოზიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ეს გადაწყვეტილება ბევრს არაფერს ცვლის მათთვის.

– როგორ არ ცვლის, მაგრამ მათაც უნდა იზრუნონ განვითარებაზე. ეს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს მრავალპარტიული პარლამენტის ფორმირებას, მაგრამ პარტიებმაც უნდა იმუშაონ, რომ გადარჩნენ.

– პოლიტიკური ბლოკების გაუქმება ამ მიმართულებით შედეგს მოგვცემს?

– რასაკვირველია. სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ ექნება პარტიას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გაქრება. ეს არის პარტიების გაძლიერებისკენ ნაბიჯის გადადგმა.

– ისინი საწინააღმდეგოს ამბობენ.

– საარჩევნო ბლოკები იყო სწორედ მთავარი შემაფერხებელი მთელი ამ 25 წლის მანძილზე საქართველოში პარტიული სისტემის გაძლიერების. ბლოკების შემთხვევაში არც ერთი პარტია არ ფიქრობს სერიოზულ გამსხვილებაზე, ერთმანეთის იდეოლოგიურად მონათესავე პარტიები უნდა გაერთიანდნენ, აქამდე იმიტომ არ ერთიანდებოდნენ, რომ საარჩევნო ბლოკის იმედი ჰქონდათ.

– ბატონო თენგიზ, მთავარი მონაპოვარი რა არის თქვენთვის კონსტიტუციის ახალ პროექტში?

– ნამდვილად არის მონაპოვარი ის, რომ საპარლამენტო მმართველობაზე გადადის სახელმწიფო. ეს არის აბსოლუტურად პროგრესული ნაბიჯი. ევროპული ნაბიჯი. ევროპის უმეტეს სახელმწიფოებში საპარლამენტო მმართველობა მოქმედებს. ჩვენც უნდა დავუახლოვდეთ ყველა მიმართულებით ევროპას.

– თუმცა, რამდენად არის პრობლემა, რომ ეს დოკუმენტი არ არის თანხმობის დოკუმენტი?

– მუდმივად ბოიკოტის რეჟიმია, მაშინაც, როდესაც შეთავაზება არის დიალოგზე და კომპრომისების მიღწევაზე. მუდმივად ბოიკოტის რეჟიმის შემთხვევაში ეს შეუძლებელია. ბოლოსდაბოლოს, ვილაცას უნდა აეღო პასუხისმგებლობა. თუმცა, მთავარი არის, ტექსტი გამართული იყოს. თუ კონსტიტუციის ტექსტის საპირწონე თანხმობა იქნებოდა, მაშინ ასეთი თანხმობა არავის სჭირდება.

– საუბარია კონსტიტუციაზე, ქვეყნის მთავარ კანონზე, რომელიც ყველას ერთნაირად ეკუთვნის.

– დიახ, გასაგებია, რომ საქმე კონსტიტუციას ეხება, მაგრამ ეს მოცემულობა არის სწორედ მანიშნებელი იმის, თუ რამდენად არის თეორიულად შესაძლებელი ამ ეტაპზე, მაგალითად, კოალიციური მთავრობის არსებობა. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს კულტურა, რაოდენ განსხვავებული შეხედულებებიც არ უნდა გვქონდეს, დავსხდეთ და შევთანხმდეთ, კომპრომისს მივაღწიოთ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე.

ეს კულტურა არ გვაქვს და ეს ძალიან სამწუხაროა. ჩვენ მხოლოდ ერთმანეთთან დაპირისპირების გამოცდილება გვაქვს, რაც ძალიან ცუდია. ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთია ჩვენი უახლესი პოლიტიკური გამოცდილება.

სუს-სა და აშშ-ის ტერორისტების შემოწმების ცენტრს შორის შეთანხმება გაფორმდა

სუს-სა და აშშ-ის ტერორისტების შემოწმების ცენტრს (TSC) შორის მთავრობათაშორისი შეთანხმება გაფორმდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან აცნობეს, „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ტერორისტების შემოწმების ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმებას“ ხელი მოაწერეს ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს ტერორისტების შემოწმების ცენტრის (TSC) დირექტორმა ჩარლზ ქეიბლმა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის უფროსმა ირაკლი ჩიმაკაძემ.

– შეთანხმების ხელმოწერა ხელს შეუწყობს ტერორიზმის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოხდენის მიზნით, საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ერთობლივი ძალისხმევისა და თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერებას.

ამასთან, შეიქმნება მყარი სამართლებრივი საფუძველი ტერორისტების შემოწმების ინფორმაციის გაცვლის სფეროში ორი ქვეყნის შესაბამის უწყებებს შორის პირდაპირი, უსაფრთხო და სწრაფი კომუნიკაციის სისტემის გასავითარებლად, – აცხადებენ უსაფრთხოების სამსახურში.

მათივე ინფორმაციით, შეთანხმება ითვალისწინებს ინფორმაციის გაცნობისა და გაცვლის სათანადო პროცედურების განსაზღვრას მხარეთა შესაძლებლობების გასაძლიერებლად ტერორისტული აქტებისგან თავდაცვის მიზნით.

შეთანხმების ხელმოწერა ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს ტერორისტების შემოწმების ცენტრის დელეგაციის საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გაიმართა. დელეგაციის შემადგენლობაში ასევე არიან: აშშ-ის ტერორისტების შემოწმების ცენტრის მთავარი მრჩეველი ჩარლზ ჩოი და ტერორისტთა შემოწმების ცენტრის დირექტორის უფროსი პოლიტიკური მრჩეველი კეთლინ ნოისი.

შალვა ხუციშვილი: „საქართველო ტრეფიკინგის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების უმაღლეს საფეხურზე რჩება“

– საქართველო ტრეფიკინგის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების უმაღლეს საფეხურზე რჩება.

ამის შესახებ ჟურნალისტებს შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილმა შსს-ში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ადამიანთა ვაჭრობის წინააღმდეგ მსოფლიო მასშტაბით სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შეფასების მორიგი ანგარიშის პრეზენტაცია გამართა. ანგარიშში საქართველო უკვე მეორედ მოხვდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების შეფასების უმაღლეს საფეხურზე, ე.წ. პირველ კალათაში.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობა სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგის აღმოსაფხვრელად დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს. შალვა ხუციშვილის ინფორმაციით, შეფასებაში ასევე ხაზგასმულია შსს-ს მიერ მიღწეული პროგრესი, დაწყებული გამოძიების გაზრდილი მაჩვენებელი, რაც შემთხვევების გამოვლენისა და პროაქტიური გამოძიების გაძლიერებას მოწმობს.

ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობამ კიდევ ერთხელ გამოავლინა მტკიცე და ურყევი ძალისხმევა 2017-12018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცებით, პროაქტიური გამოძიებით და ტრეფიკინგის მოწყვლადი ჯგუფების ინდიკატორების განსაზღვრით. დოკუმენტში პოზიტიურად არის წარმოდგენილი შს სამინისტროს საპოლიციო თანამშრომლობა პარტნიორ ქვეყნებთან. ანგარიშში ასევე შეფასებულია სახელმწიფო უწყებების კოორდინაცია. კერძოდ, პოლიციისა და შრომის ინსპექციის წარმომადგენელთა თანამშრომლობა ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის და პრევენციის მიზნით. შემფასებელთა ჯგუფი დადებითად აფასებს ტრეფიკინგის თემაზე კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებს, რომლებიც შესაბამისი სამიზნე ჯგუფებისთვის წინასწარ განსაზღვრული საჭიროებების გამოკვლევის საფუძველზე სისტემატურად ტარდება. შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, ის ქვეყნები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში სრულად აკმაყოფილებენ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვის აქტით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს, აშშ-ის დეპარტამენტის შეფასებით, ე.წ. პირველ კალათაში იკავებენ ადგილს. ქვეყნები, რომლებიც ჯეროვნად ვერ ასრულებენ მინიმალურ მოთხოვნებს, თუმცა მნიშვნელოვან ძალისხმევას იჩენენ – შეფასების მეორე კალათში განთავსდებიან. მესამე კალათში კი ხვდებიან ის ქვეყნები, რომლებიც მინიმალურ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებენ და აღნიშნულის მისაღწევად არც შესაბამის სამუშაოს ახორციელებენ. აღსანიშნავია, რომ საქართველო 2013 წლიდან 2016 წლამდე მეორე კალათში იკავებდა ადგილს. შალვა ხუციშვილის განცხადებით, განხორციელებული რეფორმებისა და შესრულებული რეკომენდაციების შედეგად, საქართველო უკვე პირველ კალათაში მოხვდა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი სახელმწიფოს მიერ ადამიანით ვაჭრობის პრევენციის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვის გამოძიების მაჩვენებლის, დამნაშავეთა სისხლის სამართლებრივი დევნის, მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებებს შორის პარტნიორობის მიმართულებით შესრულებულ სამუშაოებს ყოველწლიურად აფასებს.

სოფელ წნისში ბენზინგასამართი სადგური დააყაჩაღეს, ოპერატორი კი ცივი იარაღით დაჭრეს

ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელ წნისში, ბენზინგასამართი სადგური დააყაჩაღეს. არსებული ინფორმაციით, ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორი ცივი იარაღით დაჭრეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით დაიწყო, რაც ყაჩაღობას გულისხმობს. საგამოძიებო უწყების ცნობით, დამნაშავე იდენტიფიცირებულია და სამძებრო ღონისძიებები მიმდინარეობს.

მამუკა გამყრელიძე: „ზაალ უდუმაშვილს ამ არჩევნებში შანსი არ აქვს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი **მამუკა გამყრელიძე** პასუხობს.

– ბატონო მამუკა, თქვენ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში ადრეც ისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ზალიკო უდუმაშვილი იქნებოდა ნაციონალების მერობის კანდიდატი. ის ორი დღის წინ ოფიციალურად წარადგინეს. თუმცა გვესმის შეფასებები, რომ უდუმაშვილს ნაციონალების შლეიფი სდევს და მას გამარჯვების შანსი ნაკლები აქვს. რას იტყვით თქვენ?

– რაც შეეხება ზალიკოს შანსებს კახა კალაძესთან შედარებით, რა თქმა უნდა, შანსი მცირეა. ვინც არ უნდა ყოფილიყო, ეს იქნებოდა ზალიკო უდუმაშვილი თუ ლარი კინგი, მნიშვნელობა არა აქვს, „ოცნებას“ ძალიან მაღალი ადმინისტრაციული რესურსი გააჩნია. კალაძის განცხადებები მარწმუნებს იმაში, რომ ისინი სრულიად დარწმუნებულები არიან თავიანთ გამარჯვებაში. ცხადია, არ ვარგა ასეთი დარწმუნება, მაგრამ არც იმის იმედი მაქვს, რომ ამ სიტუაციაში ვინმე დაამარცხებს „ოცნების“ კანდიდატს.

– ასე მოსწონს ხალხს „ოცნება“?

– ბევრი უკმაყოფილო ჰყავთ, ბოლო პერიოდში ძალიან ოდიოზურებიც გახდნენ, მაგრამ ის

სიძულვილი, რაც ბოლო პერიოდში ნაციონალების მიმართ იყო, „ოცნების“ მიმართ ჯერ არ შეინიშნება.

– რა შანსი ექნებოდა ზალიკო უდუმაშვილს, დამოუკიდებელ კანდიდატად რომ გასულიყო?

– ნამდვილად არ მესმის იმ ადამიანების, ვინც აცხადებს, რომ ზალიკოს დამოუკიდებლად მეტი შანსი ექნებოდა. დამოუკიდებელ კანდიდატს არასდროს აქვს ხოლმე დიდი შანსი, ვინც არ უნდა იყოს. აი, ნახავთ, ალეკო ელისაშვილი მიიღებს ნოლ მთელ რაღაცა მეათედს. პარტია ყოველთვის აკეთებს ორგანიზებას, ჰყავთ თავისი მომხრეები. დაახლოებით იმდენივეს იღებს კანდიდატი, რამდენსაც პარტია.

– ზალიკო უდუმაშვილი არ არის ნაციონალური მოძრაობის წევრი.

– მე ძალიან არ მომწონს და ჩემთვის მიუღებელია ის, რომ ზალიკო უდუმაშვილმა განაცხადა, რომ პარტიული არ არის. ნუთუ ვერ მოხერხდა ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც იქნებოდა პარტიული? ნუთუ პარტიის წიაღში ვერ იპოვეს ისეთი ადამიანი, რომელიც შესაფერისი იქნებოდა მერის კანდიდატად?! თუ უნდოდათ, რომ ასე დამოუკიდებელი ყოფილიყო, მაშინ მიუღებელია ის მოწოდებები, რომლებიც მესმის ნაციონალური მოძრაობის მომხრეებისგან.

– რას გულისხმობთ?

– იცით, სხვები უნდა შემოგვიერთდნენ და თქვენ უნდა გაერთიანდეთ ჩვენს გარშემო, ეს არის სწორედ იმ აროგანტულობის დამამტკიცებელი კიდევ ერთი შემთხვევა, რის გამოც ნაციონალურმა მოძრაობამ კრახი განიცადა 2012 წელს და იმის შემდეგ ოთხჯერ წააგო არჩევნები. ასე წააგებს კიდევ! ის აროგანტულობა, რომელსაც გიგა ბოკერიას აბრალებდნენ, აქეთაც ბევრია. თქვენ უნდა შემოგვიერთდეთ და უნდა გავერთიანდეთო. რას ნიშნავს გავერთიანდეთ! მე ძალიან გაბრაზებული ვარ.

– როგორ უნდა მოქცეულიყვნენ?

– უნდა შეეკრიბათ ყველა, მცირე თუ დიდი პარტია, ეთქვათ, რომ ერთად ვიყოთ. თქვენი კანდიდატურებიც წარმოადგინეთ, ჩვენ ჩვენსას წარმოვადგენთ. მოვაწყოთ პრაიმერიზი. ამ პრაიმერიზით ხომ დარწმუნებული ხართ, რომ მაინც ზალიკო გაიმარჯვებდა იმიტომ, რომ, უბრალოდ, მეტნი არიან, სხვა თუ არაფერი. ეს შექმნიდა ძალიან მაღალ ლეგიტიმაციას ზალიკო უდუმაშვილისათვის და ეს მისცემდა მართლა იმის საშუალებას, რომ ეთქვა, მე ხალხის რჩეული ვარ. ვინც არ წამოვიდოდა პრაიმერიზში მონაწილეობაზე და ამ გაერთიანებაზე, ის თვითლუსტრაციას

მოახდენდა, რომ ის ნამდვილად მუშაობს ხელისუფლებასთან. ახლა ამის თქმა არ გამოვა.

– ანუ დღეს იმის ძახილი, რომ ჩვენი კარი თქვენთვის ღიაა და შემოგვიერთდით, ეს იყო შეცდომა? არავინ არ მივა?

– რა თქმა უნდა, არ მივა. ვთქვათ, ვიღაცა მდიდარმა კაცმა პურმარილი მოაწყო, მერე ნახა, ვერც ამდენ საჭმელს ერევა და არც გადახდის თავი აქვს, ადგა და დაგირეკათ, შემომიერთდი, თუ ძმა ხარო, თან გადახდაშიც მონაწილეობა მიიღეო. მიხვიდოდით ეგეთ პურმარილზე?! რა თქმა უნდა, არა!

რატომ უნდა მოვიდე, დაგვიანებით რომ მეძახი? ვინა ხარ?! ეს უდიდესი შეცდომაა. აი, ეს არის სწორედ ის, რაც კიდევ ერთხელ დაამარცხებს ნაციონალურ მოძრაობას. სამწუხაროდ, ნაციონალურმა მოძრაობამ ვერ იპოვა თავის თავში ძალა, ჭკუა და გონება არ ეყო იმისთვის, რომ გაერთიანება მოეხდინათ ამ ხალხის. ვინც კი მათთან ერთად წამოვიდოდა, ყველა ენერგიას შესძენდა.

– ერთმანეთს წაართმევენ ხმებს ამ არჩევნებში?

– წაართმევენ და უარესსაც გეტყვით. არიან ერთმანეთის კინკლაობაზე გადასული და ერთმანეთს ტალახში სვრიან. საბოლოო ჯამში „ქართული ოცნება“ გამოვა სუფთა და გაწკრიალებული. არც ერთმანეთს ლანძღავენ და აგინებენ და ძალიან მიმზიდველად გამოიყურებიან.

– ნიკა მელიას წამოსვლა და პარლამენტის მანდატის დატოვება შეცდომაა?

– შიგნით რა პროცესებია, არ ვიცი, მე ნაციონალურ მოძრაობას ახლოს აღარ ვეკარები. არანაირი ინტერესი აღარ გამაჩნია ნაციონალურ მოძრაობასთან ურთიერთობის. რაც შეეხება მელიას პარლამენტიდან წამოსვლას, ეს ნამდვილად დიდი შეცდომა იყო. იქ ისედაც დრაივიანი ხალხი აკლიათ. ისედაც 5-6 კაცია. დრაივიანი ხალხი იქ არ არის. ერთი კაცი ხომ მაინც უნდა ჰყავდეთ, რომ რაღაც ხმამაღლა თქვას და მუშტიც გაიქნიოს თუ საჭირო იქნება. ახლა მელიას იქიდან წამოსვლა და თან ერთი პოზიციით დაბლა ჩამოსვლა, არა მგონია, სწორი გადაწყვეტილება იყოს.

– მიხეილ სააკაშვილი რამდენად არის ჩართული ამ პროცესებში? მან შეარჩია კანდიდატი?

– ზაალ უდუმაშვილს არ დაუმალავს, რომ შეხვდა მიხეილ სააკაშვილს უკრაინაში.

– აქტიურად საუბრობენ, რომ შესაძლოა მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირება მოხდეს უკრაინიდან საქართველოში. ამაზე რას იტყვით?

– გამორიცხულია! ამას სრული პასუხისმგებლობით გეტყვით, რომ ამ ეტაპზე გამორიცხულია, თუ რამე არ შეიცვალა დასავლეთის მიდგომებში უკრაინის მიმართ. პოროშენკო თვითმკვლელი არ არის და ამაზე არ წავა. ეს სრულიად გამორიცხულია.

– „ოცნება“ დიდი უპირატესობით მოიგებს ამ არჩევნებს?

– პირველივე ტურით შემოიფარგლებიან, მეორე ტური აღარ გახდება საჭირო.

– იმის მიუხედავად, რომ ბიძინა ივანიშვილი არ აქტიურობს?

– ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ღმერთმა დიდხანს კარგად ამყოფოს. მათ გვერდზეა ძალოვანი უწყებები, მათია ადმინისტრაციული რესურსი და ასე შემდეგ. ამ ეტაპზე არანაირი საფრთხე ხელისუფლებას არ ემუქრება. დღეს არ არსებობს მოთხოვნა, რომ შეიცვალოს ხელისუფლება.

– მაშინ რატომ შევიდა ცნობილი ჟურნალისტი ზალიკო უდუმაშვილი წინასწარ წაგებულ ომში? რატომ დათანხმდა ამას?

– ვერ გეტყვით, რატომ დათანხმდა. ეს მას უნდა ვკითხოთ. შეიძლება ვინმემ დაითანხმა. მე ვფიქრობ, რომ ახლო მომავალში ჩვენ მივიღებთ ახალ პოლიტიკურ პარტიას, რომელშიც აუცილებლად იქნებიან ნიკა გვარამია და ზაალ უდუმაშვილი. ამ არჩევნების შემდეგ ზაალ უდუმაშვილი იქნება მზა პოლიტიკური ფიგურა. დღეს მას ეს გამოცდილება არ აქვს. მე არ მგონია, რომ ის ნაციონალურ მოძრაობასთან იყოს დაკავშირებული მომავალში.

გივი თარგამაძე: „რაც ჩვენს დროს მანკიერი იყო, ახლა ასჯერ უფრო გაზრდილი და ასჯერ უფრო მავნებლურია“

– მანკიერი, რაც იყო ჩვენს დროს, ახლა არის ჰიპერტროფირებული, ასჯერ უფრო გაზრდილი და ასჯერ უფრო მავნებლური, – ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელმა, გივი თარგამაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

თარგამაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში არსებულ ვითარებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ იქ ტოტალური კორუფციული სქემა მოქმედებს.

თარგამაძის მტკიცებით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარედ გურამ ტომარაძე მუშაობს მხოლოდ იმის გამო, რომ მისი მამა თამაზ თამაზაშვილის მეგობარი და თანამშრომელი იყო.

– მიუხედავად იმისა, რომ თამაზაშვილის და ყოფილი პრემიერის, ღარიბაშვილის კადრების მთლიანად გამოხშირვა მოხდა, ტომარაძე ინარჩუნებს თანამდებობას. ეს არის გამოწვეული ერთადერთი ფაქტორით. ტომარაძე ყოველწლიურად აკეთებს უზარმაზარ თანხას, რომელიც შემდეგ შსს-ს ხელმძღვანელობაში ნაწილდება, – განაცხადა გივი თარგამაძემ.

მან კონკრეტულ მაგალითებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ობიექტზე გაფორმებულია გარკვეული რაოდენობის თანამშრომელი, ხოლო, რეალურად, დასაქმებულია ბევრად ნაკლები. თარგამაძის ინფორმაციით, ქაღალდზე ყველა თანამშრომელი მიუხედავად იმისა, წვევამდელია, თუ კონტრაქტით გაფორმებული, იღებს ერთნაირ თანხას, 400-600 ლარს, თუმცა, რეალურად, წვევამდელებს ხელზე მხოლოდ 80 ლარს უხდიან.

გივი თარგამაძის განმარტებით, ამ ორი მანიპულაციით თვეში აღურიცხავი რჩება ორ მილიონ ლარზე მეტი.

გარდა ამისა, თარგამაძემ ტენდერების შესახებ გაამახვილა ყურადღება და განმარტა, რომ ტენდერებში დაცვის პოლიციის დეპარტამენტი იმარჯვებს ისე, რომ წინასწარ არის განსაზღვრული პირობები, რომელსაც მხოლოდ ის აკმაყოფილებს, ან აგებს, შემდგომ ყველა კომპანიას ცხრილავენ და, საბოლოო ჯამში, მაინც დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ხდება გამარჯვებული.

– ზოგადად, ეს, რა თქმა უნდა, მახინჯი სისტემაა. არსებობს სარჩელი, რომელიც შეტანილია საკონსტიტუციო სასამართლოში. დაცვის დეპარტამენტი არის ამ ბიზნისში როგორც მოთამაშე, ასევე არის მაკონტროლებელი. ბუნებრივია, მას აქვს ყველა საშუალება იმისთვის, რომ იყოს მონოპოლისტი და ამას ახორციელებს კიდეც. მე ვერ ვიტყვი, რომ ეს არ ხდებოდა ჩვენს დროს, ხდებოდა, სამწუხაროდ, და ეს გაგრძელდა. ისევე როგორც ყველა დანარჩენ მიმართულებაზე – ის მანკიერი, რაც იყო ჩვენს დროს, ახლა არის ჰიპერტროფირებული და ასჯერ უფრო გაზრდილი და ასჯერ უფრო მავნებლური. როდესაც ამბობენ, რომ შსს უნიათოა და ვერ ახორციელებს თავის ფუნქციებს, უბრალოდ უნიათო კი არ არის, ის უბრალოდ აკეთებს ფულს, ძალიან ბევრ ფულს ყოველწლიურად, რომელსაც ანაწილებს უფრო მაღალ ხელმძღვანელობაში და ამის გამო ინარჩუნებენ ეს ადამიანები თანამდებობას. ეს უნდა დავამთავროთ, – განაცხადა გივი თარგამაძემ.

მისი ინფორმაციით, ფაქტების დიდი ნაწილი, რომელზეც საუბრობს, აუდიტის სამსახურის 2017 წლის დასკვნაშია მოცემული, თუმცა აქამდე ამას რაგირება არ მოჰყოლია.

თარგამაძის თქმით, ის ეცდება, მომდევნო დღეების განმავლობაში საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია შსს-სთან დაკავშირებით.

– ყოველდღიურად ადამიანები კარგავენ სიცოცხლეს, სანამ გოგა მღებრიშვილი მინისტრია. ყველანაირი შეგონება, რომ გოგა კარგი ბიჭია, თბილისელია, სუფრაზე კარგია, ძმაკაცობა იცის და ა.შ. მიუღებელია. საუბარი, რომ მას არ მოხსნიან, რადგან ამას ჩვენ ვითხოვთ – არა. მოხსნიან, რადგან ჩვენ ვითხოვთ. ამას აუცილებლად მივაღწევთ უახლოეს დღეებში, – დასძინა გივი თარგამაძემ.

ანზორ ჩუბინიძე: „ბიძინა ივანიშვილი საქართველოში იმყოფება და მშვენიერ ფიზიკურ ფორმაშია“

– საბედნიეროდ, ბატონ ბიძინას არავითარი ჯანმრთელობის პრობლემა არ აქვს, არის კარგად, მშვენიერ ფიზიკურ ფორმაში.

ამის შესახებ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელმა, ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის დაცვის ყოფილმა უფროსმა ანზორ ჩუბინიძემ „ინტერპრესნიუსს“ ივანიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა.

კითხვაზე, იმყოფება თუ არა ბიძინა ივანიშვილი საქართველოში, ანზორ ჩუბინიძის განცხადებით, ყოფილი პრემიერი საქართველოშია და მას ქვეყანა არც დაუტოვებია.

– ის საქართველოში იმყოფება და არც დაუტოვებია საქართველოს საზღვრები, – აღნიშნა ჩუბინიძემ.

ჯემალ გამახარია: „რუსეთი აფხაზეთში დევნილთა დაბრუნებას არ აპირებს“

გულიკო ბალაძე

ჟენევის დისკუსიების მორიგი რაუნდი რუსეთის, აფხაზებისა და ოსების წარმომადგენლების დემარშით დასრულდა. დევნილთა საკითხებზე საუბრის დაწყებისთანავე რუსეთისა და მისი საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა დარბაზი დატოვეს. ასე ხდება მოლაპარაკებათა მთელი 40 რაუნდის განმავლობაში, როდესაც ისინი ანტიჰუმანურ ქმედებებს ავლენენ. ამ საკითხს „ახალ თაობასთან“ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯემალ გამახარია** აანალიზებს.

– ბატონო ჯემალ, ჟენევის მოლაპარაკებების მე-40 რაუნდიც დევნილების დაბრუნების საკითხის განხილვის დაწყებისთანავე რუსეთისა და მისი საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლებმა დემარშით დატოვეს. თქვენი აზრით, რას ნიშნავს მათი ქმედება? როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ამგვარი აშკარად მტრული დემარშები რუსეთის მხრიდან?

– ჟენევის დისკუსიების „საიუბილეო“ მე-40 რაუნდი უშედეგოდ და რუსეთის მტრული დემარშით რომ დასრულდა, მოულოდნელობას სულაც არ წარმოადგენს. მოსკოვის პოზიცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე დევნილთა დაბრუნების, ისევე, როგორც სხვა აქტუალური საკითხების მიმართ, უცვლელი რჩება. სავარაუდოდ, თუ ასე გაგრძელდა, ჩვენთვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, კრემლის პოზიცია იგივე იქნება 50-ე, მე-100 და შემდგომ რაუნდებზეც. ოკუპანტი არ აპირებს აფხაზეთში დევნილთა დაბრუნებას. უფრო მეტიც, მას აღნიშნული საკითხის განხილვაც კი არ სურს. მერე რა, რომ საუბარი აფხაზეთის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, ასეულ ათასობით ადამიანის ყოფნა-არყოფნის საკითხს ეხება.

– რუსეთს მაინც რატომ არ უნდა დევნილების დაბრუნება?

– მას ტერიტორია სჭირდება და არა იქ მცხოვრები ხალხი. პირველ რიგში, რუსეთს აფხაზეთში ქართველები არ სჭირდება. ცოტა ხნის შემდეგ აფხაზებიც აღარ დასჭირდება. აფხაზებმა ეს უნდა გაითვალისწინონ. ამიტომ მოსკოვს დევნილების დაბრუნების საკითხი სრულებითაც არ ადარდებს. ასეთია მკაცრი რეალობა.

რუსეთის დელეგაციის მიერ ჟენევაში დევნილთა დაბრუნების საკითხის განხილვაზე უარის თქმა და სხდომათა დარბაზის დემონსტრაციულად დატოვება აფხაზეთში განხორციელებული გენოციდის შედეგების დაკანონების პოლიტიკის მორიგი თავხედური გამოვლინებაა. ამ პოლიტიკას კიდევ უფრო თვალნათელს ხდის ოკუპირებული გალის რაიონის საკონცენტრაციო ბანაკად გადაქცევა და ათეულ ათასობით ეთნიკური ქართველის მიმართ ადამიანის ყველანაირი უფლების არაადამიანური, ველური მეთოდებით დარღვევა.

– რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ, კერძოდ, აფხაზეთში სხვაგვარ შეფასებას თხოულობს?

– ვფიქრობ, დადგა შესაფერისი ჟამი, რათა სხვადასხვა მოწვევის საქართველოს პარლამენტის მიერ გაკეთებული ობიექტური შეფასებები განახლდეს და აფხაზეთში რუსეთის პოლიტიკას კიდევ ერთხელ თავისი ნამდვილი სახელი – გენოციდი – დაერქვას.

– რამდენად მოსალოდნელია, აფხაზეთში მომხდარი გენოციდი მსოფლიომ აღიაროს?

– ეჭვიც არ გვეპარება. თუ საქართველოს პარლამენტი მიმართავს, ცივილიზებული სახელმწიფოები აღიარებენ აფხაზეთში განხორციელებული გენოციდის ფაქტს. ყოველივე ამის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე მსჯელობა სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია. საჭიროების შემთხვევაში, მზად ვართ, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე წარვადგინოთ აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ამსახველი მრავალგზის დაზუსტებული მასალები, ასევე მათი კვალიფიციური სამართლებრივი ანალიზი.

– გენოციდის აღიარების შემთხვევაში, მოსალოდნელია მის მომწყობთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება?

– დიახ, არ უნდა გამოირიცხოს გენოციდის დანაშაულის (რომელსაც ხანდაზმულობის ვადა არ გააჩნია) ჩამდენთა მიმართ საერთაშორისო სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების პერსპექტივაც.

– ეს რას მოგვცემს?

– ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხზე გამართულ საერთაშორისო მოლაპარაკებებში საქართველოს პოზიციების გაძლიერებას, არაღიარების პოლიტიკის შემდგომ წარმატებას.

– კონფლიქტის მოგვარებისა და აფხაზებთან ურთიერთობის დარეგულირების თვალსაზრისით?

– მხოლოდ უხეშ ფიზიკურ ძალაზე ორიენტირებული ოკუპანტი სახელმწიფოს ყოველი მარცხი საერთაშორისო არენაზე, მის წინააღმდეგ განხორციელებული ყოველი წარმატებული შეტევა პოლიტიკურ, დიპლომატიურ თუ სამართლებრივ სარბიელზე, არათუ ზედმეტად არ გაამწვავებს ისედაც გამწვავებულ ურთიერთობას აფხაზ ხალხთან, არამედ, პირიქით, ახალ პოზიტიურ დინამიკას შესძენს ჩვენს შერიგების, ნდობის აღდგენის ერთადერთ სწორ ქართულ სახელმწიფო პოლიტიკას.

– ამ შემთხვევაში გენოციდში რუსეთის დადანაშაულება ხდება?

– დიახ და ამიტომ აფხაზთა ბუნებისა და ეროვნული ფსიქოლოგიის ელემენტარულ დონეზე მცოდნე ადამიანს, ამ შემთხვევაში დამატებითი შეკითხვა არ გაუჩნდება.

პრეზიდენტი უკრაინელ კოლეგასთან შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირების საკითხის დაყენებას არ აპირებს

– საქართველოს პრეზიდენტი უკრაინელ კოლეგასთან შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირების საკითხის დაყენებას თავად არ აპირებს.

ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველადემ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– უკრაინის პრეზიდენტის ვიზიტია დაგეგმილი საქართველოში. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი. ამ ვიზიტის ფარგლებში განიხილება ორი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

ეს თემა წინასწარ დღის წესრიგში არ არის. საქართველოს პრეზიდენტი ამ თემის წამოწევას თავად არ აპირებს, – განაცხადა მიშველადემ.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ოქტომბრის მესამე კვირის ბოლოს გაიმართება

– საქართველოს პრეზიდენტი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნას მიმდინარე წლის ოქტომბრის მესამე კვირის ბოლოს აპირებს.

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საგანგებო განცხადება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ცოტა ხნის წინ გააკეთა, თუმცა არჩევნების კონკრეტული თარიღი ამ ეტაპზე არ სახელდება.

– ამის თაობაზე ვიმუშავეთ და მოვილაპარაკეთ მთავრობასთან, თუმცა აქტი ამ არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოიცემა 60 დღით ადრე, აგვისტოს ბოლოს, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მეუფე დიმიტრი მეუფე იაკობის წინააღმდეგ

დეკანოზ გიორგი მამალაძეს სამღვდელო ხარისხი შეუჩერეს

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმე სულ უფრო მძიმდება. პროკურატურის მთავარმა მოწმე ირაკლი მამალაძემ საქართველო დატოვა, პატიმრობაში მყოფ დეკანოზ გიორგი მამალაძეს კი სამღვდელო ხარისხი შეუჩერეს.

გამოძიების დასრულებამდე სამღვდელო ხარისხთან ერთად მას ზიარებაც შეუჩერდა. ეს გადაწყვეტილება ბათუმისა და ლაზეთის ეპისკოპოსმა, მეუფე დიმიტრიმ მიიღო.

მორიგი საეკლესიო სკანდალი, შესაძლოა, ამ გადაწყვეტილებას მოჰყვეს.

23 ივნისს დეკანოზ გიორგი მამალაძეს ქორეპისკოპოსმა იაკობმა დაადო ეპიტიმია, რაც ზიარების შეჩერებას ნიშნავს. თეოლოგებმა მაშინვე თქვეს, რომ ბოდბელ ეპისკოპოსს ამის უფლება არ ჰქონდა და ეს გადაწყვეტილება მეუფე დიმიტრის უნდა მიეღო.

ეპიტიმიის დადებიდან რამდენიმე დღეში, კერძოდ კი გუშინ, 27 ივნისს, ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიამ გაავრცელა საგანგებო განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ბოდბელმა ეპისკოპოსმა გადაწყვეტილება თვითნებურად მიიღო.

– დეკანოზ გიორგი მამალაძის ზიარებასთან დაკავშირებით გვსურს განვაცხადოთ, რომ სჯულის კანონის თანახმად, როდესაც სასულიერო პირს წაეყენება ბრალდება, გამოძიების დასრულებამდე უჩერდება სამღვდელო მსახურების აღსრულების უფლება, ხოლო შემდგომ, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, წმინდა სინოდი იღებს გადაწყვეტილებას, საერთოდ განიკვეთოს თუ მას გარკვეული პერიოდით შეუჩერდეს მღვდლობა.

დეკანოზ გიორგი მამალაძეს აქვს წაყენებული მძიმე ბრალდებები. იმედს გამოვთქვამთ, რომ ის თავის სიმართლეს დაამტკიცებს, რაც თავადვე გვარწმუნებს. საღმრთო ზიარების მიღება არის შედეგი მონანული, განწმენდილი და გამართლებული ადამიანისათვის, სხვა შემთხვევაში გაჩნდება კითხვა, ხომ არ ცნო ის ეკლესიამ უდანაშაულოდ გამოძიების დასრულებამდე და ამიტომ მიენიჭა მას საღმრთო ზიარების უფლება.

რაც შეეხება ბოდბელ ეპისკოპოს იაკობის მიერ ეპიტიმიის (სასჯელის) დადებას, ჩვენ ღრმად ვიყავით დარწმუნებული (ეს საპატრიარქოს წარმომადგენლებმა დაადასტურეს სატელევიზიო ეთერის საშუალებით), რომ ეს იყო პატრიარქთან შეთანხმებული და მისი ლოცვა-კურთხევით, რაც, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა სიმართლე. ეპისკოპოსმა იაკობმა თვითნებურად მიიღო ეს გადაწყვეტილება, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა.

2017 წლის 27 ივნისს ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მღვდელმთავარს დაუკავშირდა საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელი და აუწყა მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევა, მას მიეღო გადაწყვეტილება დეკანოზ გიორგი მამალაძის ზიარებასთან დაკავშირებით. ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ მიიღო გადაწყვეტილება, როგორც დეკანოზ გიორგი მამალაძის მაკურთხეველმა მღვდელმთავარმა, რომ გამოძიების დასრულებამდე შეუჩერდეს სამღვდელო ხარისხი და საღმრთო ზიარება, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში მისი საკითხი გადაეცეს წმინდა სინოდს შემდგომი გადაწყვეტილების მისაღებად.

ბათუმისა და ლაზეთის ეპარქია ლოცვითა და სასოებით ველოდებით, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე დაამტკიცებს თავის უდანაშაულობას და დაუბრუნდება სამღვდელო დასს, – ნათქვამია ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამ განცხადების გავრცელებამდე რამდენიმე საათით ადრე დეკანოზი გიორგი მამალაძე სასულიერო პირებმა მოინახულეს. ისინი მატროსოვის ციხეში პატრიარქის თხოვნით შევიდნენ. წინა კვირას გამართულ შეხვედრაზე მამა გიორგის ოჯახის წევრებმა პატრიარქს უთხრეს, რომ პატიმრობაში მყოფს მისთვის რაღაც ძალიან მნიშვნელოვნის გადაცემა სურდა.

მატროსოვის ციხეში დეკანოზი კახაბერ გოგოტიშვილი და

„თავისუფლება მამა გიორგის!“ – დრონი ამ წარწერით მთელ თბილისს გადაუფრენს

რიარქოს წარმომადგენლებმა დაადასტურეს სატელევიზიო ეთერის საშუალებით), რომ ეს იყო პატრიარქთან შეთანხმებული და მისი ლოცვა-კურთხევით, რაც, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა სიმართლე. ეპისკოპოსმა იაკობმა თვითნებურად მიიღო ეს გადაწყვეტილება, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა.

2017 წლის 27 ივნისს ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მღვდელმთავარს დაუკავშირდა საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელი და აუწყა მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევა, მას მიეღო გადაწყვეტილება დეკანოზ გიორგი მამალაძის ზიარებასთან დაკავშირებით. ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ მიიღო გადაწყვეტილება, როგორც დეკანოზ გიორგი მამალაძის მაკურთხეველმა მღვდელმთავარმა, რომ გამოძიების დასრულებამდე შეუჩერდეს სამღვდელო ხარისხი და საღმრთო ზიარება, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში მისი საკითხი გადაეცეს წმინდა სინოდს შემდგომი გადაწყვეტილების მისაღებად.

ბათუმისა და ლაზეთის ეპარქია ლოცვითა და სასოებით ველოდებით, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე დაამტკიცებს თავის უდანაშაულობას და დაუბრუნდება სამღვდელო დასს, – ნათქვამია ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამ განცხადების გავრცელებამდე რამდენიმე საათით ადრე დეკანოზი გიორგი მამალაძე სასულიერო პირებმა მოინახულეს. ისინი მატროსოვის ციხეში პატრიარქის თხოვნით შევიდნენ. წინა კვირას გამართულ შეხვედრაზე მამა გიორგის ოჯახის წევრებმა პატრიარქს უთხრეს, რომ პატიმრობაში მყოფს მისთვის რაღაც ძალიან მნიშვნელოვნის გადაცემა სურდა.

მატროსოვის ციხეში დეკანოზი კახაბერ გოგოტიშვილი და მამა დავით ჭინჭარაული შევიდნენ. ისინი საპატიმროში ერთ საათზე მეტი ხნით დარჩნენ.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ კომენტარი მამა კახაბერმა გააკეთა. მან ჟურნალისტებთან საუბარში არ დააკონკრეტა, თუ რისი გადაცემა სურდა მამა გიორგის პატრიარქისთვის.

– ვერ გეტყვით. ეს არის მისი პირადული. პატრიარქისთვის რაღაცის გადაცემა უნდა და მე უნდა გადავცე, – აღნიშნა დეკანოზმა კახაბერ გოგოტიშვილმა.

გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ მამა გიორგის პატრიარქისთვის წერილის გადაცემა სურდა. კახაბერ გოგოტიშვილი ციხიდან რაიმე წერილის გამოტანის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს.

– ჩვენ არაფრის გამოტანისა და შეტანის უფლება არ გვაქვს მასთან. მან სიტყვიერად დაგვაბარა, ლოცვა-კურთხევა გვთხოვა უწმინდესთან, გადავცეთ, რომ ლოცვა-კურთხევა მისცეს, დალოცოს, რომ გაძლიერდეს, – აღნიშნა დეკანოზმა.

* * *

ბათუმისა და ლაზეთის ეპისკოპოსის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, დეკანოზ გიორგი მამალაძის ოჯახის ახლობლები გაოგნებულები დარჩნენ.

– ასეთ გადაწყვეტილებას არ ველოდით. იმედი გვაქვს, სიმართლე მალე გაირკვევა, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში მამა გიორგის ოჯახის ახლობელმა თამარ კეზუამ.

მისი თქმით, მამა გიორგის ახლობლები გააქტიურდებიან და ყველაფერს გააკეთებენ, რომ სასამართლო გაიხსნას.

– ჩვენ თბილისში ბევრ ადგილზე გავაკეთეთ ასეთი წარწერა – თავისუფლება მამა გიორგის. მალე დავამზადებთ ბანერს, რომელზეც ასეთივე წარწერა იქნება. ამ ბანერს მივამაგრებთ დრონს. დრონი მთელ თბილისს გადაუფრენს. ჩვენი მიზანია, ეს სასამართლო გაიხსნას. სიმართლის დადგენა მხოლოდ ღია სასამართლოს პირობებში შეიძლება, – ამბობს კეზუა.

მისი თქმით, უახლოეს მომავალში გამოჩნდება ვიდეორგოლიც, სადაც სტუდენტები მამა გიორგისა და ციანიდის საქმეზე დააფიქსირებენ თავიანთ პოზიციას.

– ეს ყველაფერი ემსახურება ხალხის ყურადღების მიპყრობას. სასამართლოს გახსნას მხოლოდ ერთობლივი ძალებით შევძლებთ, – აღნიშნავს თამარ კეზუა.

შემოსავლების სამსახურის „შავ სიაში“ 238 კომპანია მოხვდა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა იმ პირების „შავი სია“ გამოაქვეყნა, რომლებიც უკანონო ფინანსურ ოპერაციებში იყვნენ ჩართული. სიაში 238 კომპანიის და შპს-ის სახელია მითითებული.

– გაცნობებთ, რომ მოცემული გადასახადის გადამხდელები და დამნაშავე პირები ჩამოთვლილი გადასახადის გადამხდელების ბეჭდებს და სალარო აპარატების ჩეკის ესკიზებს იყენებდნენ ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დასამზადებლად. გაითვალისწინეთ, რომ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი შემოწმების პროცესში განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლის აღნიშნული გადამხდელების სახელით გამოწერილ საგადასახადო დოკუმენტებს, – ნათქვამია განცხადებაში, რომელიც „შავ სიას“ ახლავს და შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზეა განთავსებული.

„ბიზნესპრესნიუსი“ ამ საკითხით დაინტერესდა და კომენტარისთვის შემოსავლების სამსახურს მიმართა. უწყების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ინფორმაციის გასაჯაროება კეთილსინდისიერ გადამხდელთა დაცვის მიზნით გადაწყვიტეს.

– შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე განთავსებულია იმ პირთა რეესტრი (ე.წ. შავი სია), რომლებიც სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში იქნენ მიცემული ეკონომიკური საქმიანობის ყალბი საგადასახადო დოკუმენტებით განხორციელებისთვის. ზემოაღნიშნული ქმედებისთვის პასუხისმგებლობა დადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. ეკონომიკური საქმიანობის ყალბი საგადასახადო დოკუმენტებით განმახორციელებელ პირთა რეესტრის გასაჯაროება მიზნად ისახავს კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელთა დაცვას მართლსაწინააღმდეგო გარიგებებში ჩაბმისაგან, – აცხადებენ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში.

აღნიშნული ფაქტის შეფასება ადვოკატ ირაკლი უტიაშვილს ვთხოვეთ. ადვოკატი მიიჩნევს, რომ მსგავსი დანაშაული პირველ რიგში სახელმწიფოს აზიანებს.

– ყალბი დოკუმენტების გამოყენება ფინანსური მაქინაციაა, ეს არის დანაშაული, რომელიც ჩვენი კანონმდებლობით, 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. იგივე ქმედება, ჩადენილი ჯგუფურად, ან არაერთგზის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 4-დან 7 წლამდე. თუ უკანონო ფინანსურ გარიგებებში რამდენიმე სუბიექტი მონაწილეობს, ეს უკვე ჯგუფური დანაშაულია. ახლა მთავარია გაირკვეს, ერთობლივად მოქმედებდნენ, თუ რომელიმე გადასახადის გადამხდელი ცალკე, დამოუკიდებლად მოქმედებდა. როგორც გითხარით, ჯგუფური დანაშაულის შემთხვევაში სასჯელი იზრდება, – აღნიშნავს ირაკლი უტიაშვილი.

შპს „ბიდიოს“ მმართველი პარტნიორმა, აუდიტორმა ზურაბ ლალაზაშვილმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ამ ტიპის პრევენციულ ღონისძიებებს ყოველთვის მიესალმება.

– ჩემი აზრით, ეს ჩვეულებრივი პრევენციული ღონისძიებაა, რომელიც შემოსავლების სამსახურმა განახორციელა. როგორც ჩანს, ეს გადამხდელები საიდენტიფიკაციო კოდით სარგებლობდნენ და მას უსაქონლო ოპერაციებისთვის იყენებდნენ. შემოსავლების სამსახურის ტაქტიკაა, რომ გადამხდელები გააფრთხილოს, თუმცა ეს საკითხი შესაბამისმა უწყებებმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ, რომ სხვისი დანაშაულის გამო კეთილსინდისიერი გადამხდელებიც არ დაზარალდნენ. ბუნებრივია, დამნაშავეები შეიძლება დასაჯონ და კიდეც დაჯარიმონ, – ამბობს ზურაბ ლალაზაშვილი.

მისი თქმით, ეს ფაქტი გაფრთხილება უნდა იყოს ყველა კეთილსინდისიერი მეწარმისთვის: – უკანონო ფინანსურ მაქინაციებში ჩართვა ძნელი სულაც არ არის, სალარო-აპარატის ჩეკის ესკიზის დამზადებაც იოლია – ის შეიძლება ცალკე, სულ სხვა ქვითარზე, ან ქაღალდზე დაიბეჭდოს. მთავარია, მეწარმემ იცოდეს, რომ მსგავსი ფაქტები ყველას აზიანებს – პირველ რიგში კი, ჩვენს ეკონომიკას და საქართველოს მოქალაქეებს. ახლა მთავარია, ამ კომპანიების საქმე სერიოზულად შეისწავლონ. გასარკვევია, ვის აქვს შესყიდვები განხორციელებული, მართლა განხორციელდა ესა თუ ის ოპერაცია თუ ყველაფერი სიყალბე იყო და ა.შ... რასაკვირველია, ამ ყველაფრის გარკვევასა და სიმართლის დადგენას ფინანსური პოლიციის ჩართვა და საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარება დასჭირდება.

თბილისის ზღვის, ლისისა და კუს ტბების წყლის ხარისხის კვლევა განახლდა

გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის სპეციალისტები მაისიდან სექტემბრის ჩათვლით ლისის ტბის, კუს ტბისა და თბილისის ზღვის წყლის ხარისხის კვლევას ახორციელებენ. აღებულ სინჯებში განისაზღვრა ქიმიური და მიკრობიოლოგიური კომპონენტები, გარდა დაავადებათა გამომწვევი მაჩვენებლებისა, რომელთა კვლევა არ შედის სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში. როგორც „სითი კვირას“ გარემოს ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, მაისში თბილისის ზღვაზე, კუს ტბასა და ლისის ტბაზე სინჯების აღება საბანაო ზონის თითო წერტილში განხორციელდა. ჩატარებული ანალიზების შედეგების მიხედვით განსაზღვრული 23 ქიმიური და 3 მიკრობიოლოგიური ინგრედიენტების კონცენტრაციებიდან ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობას მხოლოდ ლისის ტბაში აღემატებოდა, რაც ამ ტბის ფონურ შემცველობად შეიძლება ჩაითვალოს.

მათივე თქმით, ჩატარებული კვლევების მიხედვით კუს ტბის, ლისის ტბისა და თბილისის ზღვის სინჯებში მიკრობიოლოგიური დაბინძურება არ დაფიქსირებულა.

„საბამ“ საზოგადოებას სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიში წარუდგინა

საქართველოში ყველაზე ავტორიტეტული ყოველწლიური ლიტერატურული პრემია, ელექტრონული წიგნების წამყვანი ინოვაციური ვებ-პლატფორმა „საბა“ 15 წლის გახდა. იუბილესთან დაკავშირებით „თიბისი გალერეაში“ სადღესასწაულო ღონისძიება გაიმართა. შეკრებილ საზოგადოებას შემაჯამებელი ანგარიში წარუდგინეს.

„საბა“ 2003 წელს დაფუძნდა და მისი მიზანია გასული ერთი წლის ლიტერატურული პროცესების შეფასება და წლის საუკეთესო წიგნებისა და ავტორების გამოვლენა. პრემიაზე განიხილება გასულ წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები (რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული, პიესა), უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი, ასევე ლიტერატურული კრიტიკის და დოკუმენტური პროზის ნიმუშები.

„საბა“ გაიცემა შემდეგ ნომინაციებში: წლის საუკეთესო რომანი; წლის საუკეთესო პოეტური კრებული; წლის საუკეთესო პროზაული კრებული; წლის საუკეთესო პიესა; წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი; წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა; წლის საუკეთესო ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა; უცხოური ნაწარმოების საუკეთესო ქართული თარგმანი; ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოური თარგმანი; საუკეთესო ელექტრონული წიგნი; პრემია „საბა“ ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის;

15 წლის განმავლობაში, „საბამ“ 3.800 საკონკურსო წიგნი განიხილა და 127 პრემია გასცა, სულ 500.000 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს „საბას“ ლაურეატი გახდა უცხოელი ლიტერატორი, ბრიტანელი მთარგმნელი, პროფესორი დონალდ რეიფილდი, რომელმაც ოთარ ჭილაძის რომანი „აველუმი“ ინგლისურ ენაზე თარგმნა.

„საბას“ შედეგად საზოგადოებამ გაიცნო მანამდე უცნობი, მაგრამ დღეისთვის მკითხველისთვის კარგად ცნობილი და საყვარელი ავტორი. ამიტომაც ყოველწლიურად ნომინაცია „საუკეთესო დებიუტანტს“ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ბადრი ჯაფარიძე, „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

– რამდენად მნიშვნელოვანია პრემია „საბა“, ამის შესახებ მარტო ციფრები მეტყველებენ. 2012 წელს შეიქმნა ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“, რომელიც ელექტრონულ მოწყობილობებში წიგნის კითხვის საშუალებას იძლევა. ვებგვერდს სადღეისოდ 140.000 რეგისტრირებული მომხმარებელი ჰყავს. „საბას“ კატალოგში კი, ქართული თუ უცხოური კლასიკური ლიტერატურის 4 000 ელექტრონული წიგნია – თანამედროვე ბესტსელერები, პროფესიული ლიტერატურა და სხვა. 2013 წლიდან „საბა“ საერთაშორისო ლიტერატურული კონკურსი გახდა – დაემატა ახალი ნომინაცია „საუკეთესო უცხოური თარგმანი“, რომელშიც უცხოელი მთარგმნელები და გამომცემლობები მონაწილეობენ. 2013-17 წლებში „საბამ“ 30-მდე ქვეყანაში გამოცემული 120 ქართული ნაწარმოების თარგმანი შეაფასა. ბოლო წლების განმავლობაში „საბა“ სოციალური მიმართულებითაც გააქტიურდა და ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება დაიწყო. 2013-16 წლებში, „საბამ“, ჯამში, 500.000-ზე მეტი წიგნი 50.000 ადამიანს გადასცა საჩუქრად. ეს არის ბოლო პერიოდის ყველაზე მასშტაბური სოციალურ-ლიტერატურული აქცია, წიგნიერების ამაღლების და წიგნების ხელმისაწვდომობის მიმართულებით.

რატი ამაღლობელი, „საბას“ პროექტის ლიტერატურული ხელმძღვანელი:

– უკვე 15 წელი შეუსრულდა საბას. როდესაც ჩვენ ვიწყებდით ამ პროექტს, მაშინ არსებობდა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ გაცემული პრემიები, რომელიც არ ასახავდა კონკრეტიკას, დინამიკას, ლიტერატურული პროცესების რეალობასა და სინამდვილეს. ჩვენი მიზანი ის იყო, რომ ლიტერატურული პროცესები მკითხველთან მაქსიმალურად მიგვეტანა. ვფიქრობ, რომ ამ 15 წლის განმავლობაში „საბამ“ ეს შეძლო.

დღეს ძალიან დიდი მოლოდინია როგორც პრემია „საბას“ მიმართ, ასევე ელექტრონული წიგნების მიმართ. მკითხველი ყოველდღიურად ელოდება, თუ რას შესთავაზებს „საბა“ ქართულ ლიტერატურულ საზოგადოებას.

შეხვედრის საბა-ბი – ასე ეწოდება პროგრამას, რომლის ფარგლებშიც, საბა რეგიონებში ჩავიდა და საჯარო სკოლებს სპეციალური სამკითხველო კუთხეები და ელექტრონული ბიბლიოთეკები აჩუქა. სულ რეგიონებში 6.000 ელექტრონული წიგნი გავრცელდა უფასოდ. მოეწყო „საბას“ ლაურეატებთან ადგილობრივი მკითხველების შეხვედრები.

უფასო წიგნები მეტროში

2015 წელს თბილისის მეტროპოლიტენში „საბამ“ წიგნების უფასოდ გავრცელება დაიწყო. პროექტი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით წიგნების ხელმისაწვდომობას და კითხვის პოპულარიზაციას ემსახურებოდა.

წიგნები მთაში

2016 წელს უფასო ელექტრონული ბიბლიოთეკები უკვე მთის კურორტებზეც გამოჩნდა. აქცია „იკითხე მთაში“ გუდაურისა და ბაკურიანის დამსვენებლებისა თუ მცხოვრებლებისთვის ათობით ელექტრონული წიგნის უფასოდ მიწოდებას ითვალისწინებდა.

ქალაქი ბიბლიოთეკა

უფასო ელექტრონული ბიბლიოთეკების ყველაზე მასშტაბური პროექტი თბილისში განხორციელდა. მწერლების სახელობის 50 ქუჩაზე, სახლ-მუზეუმებთან, პარკებში, სკვერებში – თბილისის მასშტაბით 300 სხვადასხვა ადგილზე განთავსდა ელექტრონული ბიბლიოთეკები, საიდანაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია, თავის სმარტფონში უფასოდ ჩამოტვირთოს „საბას“ 300-მდე ელექტრონული და ხმოვანი წიგნი და საჩუქრად მიიღოს მრავალფეროვანი პირადი ბიბლიოთეკა. „ქალაქი-ბიბლიოთეკა“ თბილისის მერიის და პრეზიდენტის ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა.

ხმოვანი წიგნები უსინათლოებისათვის

2016 წელს „საბამ“ შექმნა ხმოვანი წიგნების პირველი ქართული აპლიკაცია, რომელიც სრულადაა ადაპტირებული უსინათლო მომხმარებელზე. პროექტის ფარგლებში უსინათლო და მხედველობაშეზღუდული მკითხველები საჩუქრად იღებენ 400-მდე ხმოვან წიგნს. პროექტი ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით განხორციელდა და უსინათლოებისათვის კითხვის ერთადერთ შესაძლებლობას წარმოადგენს.

პროექტი გრძელდება რეგიონებში – შემდეგი ლიტერატურული გაჩერება ქუთაისსა და ბათუმში იქნება.

მიხეილ თათარიშვილი 10.000-ლარიანი გირაოთი გამოუშვეს

ნონა ცაბაძე

პრეზიდენტის შვილის მეგობარი, მიხეილ თათარიშვილი, გუშინ სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა. მას აღკვეთის ღონისძიება 10 ათას ლარიანი გირაოთი შეეცვალა. პრეზიდენტის სიძე მინდია გოგოჭური ამბობს, რომ ის თათარიშვილთან ერთად იმყოფებოდა და აცხადებს, რომ მის მეგობარს ნარკოტიკი პოლიციამ ჩაუდო.

– ჩემი ჩვენებით ვადასტურებ იმას, რომ 15 მარტს პოლიციის მხრიდან იყო ძალადობრივი ქმედება ჩვენ მიმართ და ასევე თათარიშვილის მიმართ დიდი ოდენობით ნარკოტიკის ჩადებას ჰქონდა ადგილი. მეტი რა დარღვევა უნდა გამოიკვეთოს, როცა ადამიანს საერთოდ არ ჰქონდა ნარკოტიკი და 18 აბი სუბოტექსი ჩაუდეს?! ისე გამოგვიყვანეს, თითქოს 10 კაცი გვყავდა დახოცილი. გადაგვიგრიხეს ხელები, მიშოს დანა დაადეს და ყელში ხელი მოუჭირეს, მანქანაში ჩატენეს და გააქრეს, – განუცხადა ჟურნალისტებს პრეზიდენტის სიძემ მინდია გოგოჭურმა.

გუშინდელ პროცესზე არ გამოცხადდა საქმის პროკურორი, რომელიც მოსამართლემ 300 ლარით დააჯარიმა.

„ახალი თაობა“ კომენტარისთვის მიხეილ თათარიშვილის ადვოკატ **ირმა ჭკადუას** დაუკავშირდა.

– ქალბატონო ირმა, რამდენად ელოდით მოსამართლის გადაწყვეტილებას?

– სასამართლომ მიიღო ადეკვატური და სამართლიანი გადაწყვეტილება, გამომდინარე იქიდან, რომ კანონში წერია, ორ თვეში ერთხელ უნდა მოხდეს საქმის გადასინჯვა.

პროკურორი დღეს ვერ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და დღეს უნდა დაესრულებინა როგორც ბრალდებას, ასევე დაცვის მხარეს მტკიცებულებების წარმოდგენა. დაცვის პოზიციაა, რომ წარმოდგენილი ბრალდების პოზიციის მოსმენის შემდგომ სასამართლოს უნდა დარჩენოდა შთაბეჭდილება, რომ თათარიშვილის ბრალეულობა არ მტკიცდებოდა. მთლიანობაში ვფიქრობ, რომ მოსამართლემ მიიღო ადეკვატური გადაწყვეტილება. შემდგომი პროცესი ჩანიშნულია 29 ივნისს.

– გირაოთი მოხდა მისი გათავისუფლება?

– დიახ, 10 ათას ლარიანი გირაოთი გათავისუფლდა.

– რატომ არ გამოცხადდა საქმის პროკურორი პროცესზე?

– როგორც გამოცხადებულმა პროკურორმა განაცხადა, ის მნიშვნელოვან საქმეზე იყო ციხეში გაგზავნილი. ახალი პროკურორი კი რეალურად ვერაფერს იტყოდა საქმის შესახებ მან მიიღო დავალება, რომ უნდა მოსულიყო პროცესზე და მოვიდა.

– თქვენ რა მოლოდინი გაქვთ, გამართლდება საბოლოოდ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი?

– ზოგადად ძალიან გამიჭირდება წინასწარ ვივარაუდო, მაგრამ მე შემიძლია ცალსახად ვთქვა, რომ მოწმეები, რომლებიც პროცესზე დაიკითხნენ, ისინი სასამართლოს ვერ დაარწმუნებენ იმაში, რომ თათარაშვილი იდგა თამარ მეფის 100 ნომერში, ჯიბეში ედო 18 აბი სუბოტექსი და ელოდებოდა პოლიციის მისვლას.

– პრეზიდენტის ქალიშვილი აცხადებდა, რომ თათარიშვილი სულაც არ აუყვანიათ თამარ მეფის გამზირზე და მისი დაკავება სულ სხვაგან მოხდა.

– დიახ, ზუსტად ასეა. დიახ, დაიკითხნენ ნეიტრალური მოწმეები და მათ ცალსახად მიუთითეს, რომ თათარიშვილი მის ორ თანმხლებ პირთან ერთად იმყოფებოდა რესტორან თეთრ გედში, სადაც შევიდნენ პოლიციელები და სადაც მოხდა მისი დაკავება. ეს ყველაფერი ცალსახად დადასტურდა სასამართლო პროცესზე. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, დაცვა ელოდება გამამართლებელ განაჩენს.

ბათუმში ავტოსაგზაო შემთხვევას არასრულწლოვანი ემსხვერპლა

ბათუმში ავტოსაგზაო შემთხვევას არასრულწლოვანი ემსხვერპლა. შემთხვევა თამარ მეფის გამზირზე, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მოხდა.

არსებული ინფორმაციით, მოზარდს მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა და ადგილზე გარდაიცვალა.

შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავები და სასწრაფო დახმარების ბრიგადები იყო მობილიზებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ფაქტზე გამოძიება სს კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ავტომობილის ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.

ირაკლი შოთაძე: „ირაკლი მამალაძემ საქართველო დატოვა და მთავარი პროკურატურა ამის შესახებ საქმის კურსშია“

– ციანიდის საქმეში მთავარმა მოწმემ ირაკლი მამალაძემ საქართველო დატოვა და მთავარი პროკურატურა ამის შესახებ საქმის კურსშია.

ამის შესახებ საქართველოს მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ ჟურნალისტებთან ე.წ. ციანიდის საქმეზე საუბრისას განაცხადა.

როგორც შოთაძემ აღნიშნა, ირაკლი მამალაძეს უფლება აქვს დატოვოს საზღვარი, თუმცა მიმართა თუ არა მან სხვა ქვეყანას თავშესაფრისთვის, ეს მისთვის ცნობილი არ არის.

– შემიძლია გითხრათ, რომ ირაკლი მამალაძეს, რომელიც არის სისხლის სამართლის საქმეზე მოწმე, აქვს უფლება დატოვოს საზღვარი. მან გვაცნობა, რომ ქვეყანა დატოვა და ჩვენი ინფორმაციით, ის საქართველოში არ იმყოფება. ჩვენთვის არ არის ცნობილი, რომ იგი სხვა ქვეყანაში ითხოვს თავშესაფარს, – განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

შსს-მ გურამიშვილის გამზირზე 4 მოქალაქის დაჭრის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შსს-მ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან 4 მოქალაქის დაჭრის საქმეზე ერთი პირი დააკავა. როგორც „ინტერფესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოსა და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ბ.ხ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა თბილისში, შატილის ქუჩაზე, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში მიმდინარე ძალისმიერი სამჭიდის მსოფლიო ჩემპიონატის დროს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 4 მოქალაქე, მათ შორის, ერთი სპორტსმენი, ცივი იარაღით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ბ.ხ. მომხდარიდან მეორე დღეს, ზესტაფონის რაიონის სოფელ ძირულაში დააკავეს.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს.

აფგან მუხთარლის მეუღლე: „საქართველოს პრეზიდენტი მოიქცა ისე, როგორც ნამდვილი პრეზიდენტი“

– საქართველოს პრეზიდენტი მოიქცა ისე, როგორც ნამდვილი პრეზიდენტი. ჩვენ არ ვართ კმაყოფილი გამოძიებით. ერთი თვე გავიდა და სერიოზული შედეგები არ არის.

ამის შესახებ აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის მეუღლე ლეილა მუსტაფაევამ საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრამდე განაცხადა.

– პირველ რიგში, მსურს პირადად გადავუხადო მადლობა საქართველოს პრეზიდენტს იმ პოზიციისთვის, რომელიც მან დაიკავა. საქართველოს პრემიერ-მინისტრი და სახელმწიფოს სხვა წარმომადგენლები იგივე სიტყვებს იმეორებდნენ, რასაც აზერბაიჯანის ხელისუფლება ამბობდა. პრეზიდენტმა მარგველაშვილმა საპირისპირო პოზიცია დაიკავა. ის მოიქცა, როგორც ნამდვილი პრეზიდენტი, – აღნიშნა ლეილა მუსტაფაევამ.

მისი თქმით, „საქართველოს პოლიციას არაფერი წარმოუდგენია, გარდა რამდენიმე ვიდეოჩანაწერისა“.

– ჩვენ არ ვართ კმაყოფილი გამოძიებით. ერთი თვე გავიდა და სერიოზული შედეგები არ არის. მათ არ გამოუვლენიათ პირები, ვინც გაიტაცა აფგან მუხთარლი და ვინც გატაცების ბრძანება გასცა. ეს კი ნიშნავს, რომ თავიანთ თავს აფარებენ ხელს. ეს რომ ყოფილიყო პატარა დანაშაულებრივი ჯგუფი, ისინი მათ იმავე დღესვე გამოავლენდნენ. ეს კი ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მოხელეები არიან ჩართულნი ამ საქმეში. ამიტომაც არ სურთ ამ საქმის გამოძიება, – განმარტა მან.

ლეილა მუსტაფაევამ ასევე აღნიშნა, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილს სთხოვს, ყველა ინსტრუმენტი გამოიყენოს, რათა გავლენა მოახდინოს მთავრობაზე და მინისტრებზე და აფგან მუხთარლის საკითხი საქართველოს დღის წესრიგში დარჩეს.

პროკურორი: „მოწმეებმა დაადასტურეს, რომ „ფარული ხარჯები“ არამიზნობრივი იყო“

– პრეზიდენტის საჩუქრების შესაძენად გადახდილი იყო 25 ათასი ლარი, ასევე ხარჯები იყო გაღებული სხვა არაოფიციალური დანახარჯებისთვის.

ამის შესახებ ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და სდსს-ს ყოფილი ხელმძღვანელის თემურ ჯანაშიას ბრალდების საქმის პროკურორმა გიორგი მუჯირმა გუშინდელი სასამართლო პროცესის შემდეგ განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, გუშინ დაკითხულმა მოწმეებმა დაადასტურეს, რომ „ფარული ხარჯები“ არამიზნობრივი იყო.

– დღეს დაიკითხა პრეზიდენტის კვების ჯგუფის ხელმძღვანელი, თამარ სიხარულიძე, რომელიც კანონდარღვევით დასაქმებული იყო პარალელურად ორ სამსახურში, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში და სდსს-ში. მოწმემ ცალსახად გამიჯნა, რომ ოფიციალურ შეხვედრებზე დანახარჯების გადახდა ხდებოდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ და უკვე არაოფიციალურ შეხვედრებზე თანხას სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური იხდიდა. სწორედ ეს გახლავთ თანხის არამიზნობრივი ხარჯვა, რასაც ბრალდება ედავება როგორც თემურ ჯანაშიას, ასევე მიხეილ სააკაშვილს. ასევე დაიკითხა პრეზიდენტის დაცვის წევრი, რომელსაც შედგენილი ჰქონდა პატაკები „ფარული ხარჯებზე“ გამოყოფილი თანხების ჩამოწერის თაობაზე. ამ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტის საჩუქრების შესაძენად გადახდილი იყო 25 ათასი ლარი, ასევე ხარჯები იყო გაღებული სხვა არაოფიციალური დანახარჯებისთვის, რაც ამ შემთხვევაში ეხებოდა უშუალოდ პრეზიდენტის პირად ხარჯებს. 10 თვის განმავლობაში 130 ათასი ლარია გადახდილი პრეზიდენტის პირად მზარეულზე, მაშინ, როდესაც პრეზიდენტის კვების ჯგუფში იყო 10 კაცი, ემსახურებოდა სწორედ ამ მიზნებს და არანაირი საჭიროება არ არსებობდა იმისა, რომ პირადი მზარეულისთვის გადაეხადათ 130 ათასი ლარი, – განაცხადა პროკურორმა.

ანზორ ჩუბინიძე: „მე შემიძლია პასუხი ვაგო იმ ხარჯებზე, რომლებიც ჩემს პერიოდშია გაწეული“

– მე შემიძლია პასუხი ვაგო იმ ხარჯებზე, რაც ჩემს პერიოდშია გაწეული სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის, ანზორ ჩუბინიძის მტკიცებით, მისი ხელმძღვანელობისას რა ფარული ხარჯებიც არის გაწეული პრეზიდენტ სააკაშვილისთვის, მასში არავითარი კანონდარღვევა არ ყოფილა.

ამის შესახებ ანზორ ჩუბინიძემ ჟურნალისტებს სდსს-ს ყოფილი უფროსის თემურ ჯანაშიას ადვოკატების განცხადების საპასუხოდ განუცხადა, რომელიც ანზორ ჩუბინიძის პერიოდში ფარული ხარჯების გაწევას ეხება.

ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და სდსს-ს ყოფილ ხელმძღვანელ თემურ ჯანაშიას გამოძიება დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვას ედავება. საქმე ეხება სდსს-ს მიერ გაწეულ ფარულ ხარჯებს, რომელიც, გამოძიების მტკიცებით, ექსპრეზიდენტის პირად კომფორტსა და სხვადასხვა საჩუქარს ხმარდებოდა.

– 2013 წლის თებერვლიდან მე ვხელმძღვანელობ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს და ბატონი მიხეილი კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში, დაახლოებით, 10 თვის განმავლობაში იყო პრეზიდენტი. რა თქმა უნდა, ხარჯები იყო, მაგრამ მე არ მახსოვს, რომ იმ ხარჯებში რამე კანონდარღვევა ყოფილიყო. თუ იყო კანონდარღვევა, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა თქვან. მე შემიძლია პასუხი ვაგო იმ ხარჯებზე, რაც ჩემს პერიოდშია გაწეული.

თუ ამაში რამე კანონდარღვევა არის, მე ვფიქრობ, რომ არ არის და თუ არის, მაშინ ამაზე შესაბამისმა ორგანოებმა უნდა მომთხოვონ პასუხი, – განაცხადა ანზორ ჩუბინიძემ.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის ვარაუდით, დაცვის მხარე იმიტომ ითხოვს სასამართლოში მის დაკითხვას, რომ „ხარჯები სავარაუდოდ იდენტურია“.

– მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, პასუხს ვაგებ იმ ხარჯებზე, რომელიც ჩემს პერიოდში იყო. რა თქმა უნდა, ხარჯები იყო, მაგრამ არ ვთვლი, რომ კანონდარღვევას ჰქონდა ადგილი. ეს ხარჯები უკავშირდებოდა დაცვის სამსახურის თანამშრომლების გადაადგილებას. ყველაზე მეტი იხარჯებოდა თვითმფრინავის მომსახურებაზე, რომელსაც პრეზიდენტი ვიზიტების დროს იყენებდა, – აღნიშნა ანზორ ჩუბინიძემ.

დაცვის მხარემ ყოფილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და სდსს-ს ყოფილი უფროსის თემურ ჯანაშიას ბრალდების საქმეზე გუშინდელ სასამართლო პროცესზე ის დოკუმენტი წარადგინა, რომლითაც, დაცვის მხარის მტკიცებით, დასტურდება, რომ „ფარული ხარჯები“ სდსს-ს ანზორ ჩუბინიძის ხელმძღვანელობის დროსაც ჰქონდა. ადვოკატმა ბექა ბასილაიამ მოსამართლის წინაშე იშუამდგომლა ვალერიან კილაძის პატაკი, რომელიც ანზორ ჩუბინიძის სახელზეა დაწერილი, საქმის მასალებს დართვოდა, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა.

ნატო: რუსეთი ზრდის სამხედრო პოტენციალს ყველა ფრონტზე

რას ურჩევენ აშშ-ის პრეზიდენტს რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის წინ

მარიამ მჭედლიშვილი

ნატოში აცხადებენ, რომ რუსეთიდან მომავალი საფრთხე იზრდება.

– ნატოს ქვეყნები შეშფოთებული არიან რუსეთის მხრიდან საფრთხის ზრდით. რუსეთი ცდილობს გაზარდოს თავისი სამხედრო პოტენციალი პრაქტიკულად ყველა ფრონტზე, – აღნიშნავს ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი პეტრე პაველი.

მისი თქმით, რუსეთი ავითარებს თავის შესაძლებლობებს როგორ ტრადიციულ, ისე ბირთვულ შემადგენელში.

– სამხედრო ბლოკის ქვეყნებმა არ იციან რუსეთის ფედერაციის ზუსტი განზრახვები. ამიტომ, ამ პოტენციურ საფრთხეს ისინი ძალიან სერიოზულად აღიქვამენ, – აცხადებს ნატოს გენერალი.

მსოფლიოში შექმნილ სიტუაციას ურთულესად მიიჩნევს „ვაშინგტონ პოსტი“. გამოცემის თქმით, ეს ვითარება შეიძლება კატასტროფით დასრულდეს. მხედველობაშია მისაღები კონფლიქტის ესკალაცია სირიაში, ნატოს ძალების მიახლოება რუსეთის საზღვრებთან, ასევე ის ფაქტი, რომ რუსეთისა და ნატოს თვითმფრინავები ერთმანეთს ლამის ეჯახებიან შავი და ბალტიის ზღვების ტერიტორიებზე. ამას ემატება აშშ-ის კონგრესში ატეხილი ანტირუსული ისტერია. ამ სიტუაციაში შესაძლებელია აშშ-სა და რუსეთის პირდაპირი კონფრონტაცია, რაც კატასტროფული შედეგებით დასრულდება მთელი მსოფლიოსათვის.

პრეზიდენტმა ტრამპმა ამ კუთხით ვერაფერი შეცვალა. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს გამოცემა ხედავს პრეზიდენტ რეიგანის გამოცდილების გადმოღებაში. „ვაშინგტონ პოსტის“ აზრით, რეიგანმა და გორბაჩოვმა თავის დროზე მიაღწიეს საჭირო შეთანხმებებს. ამიტომ რეიგანის გარემოცვამ დონალდ ტრამპს რჩევები უნდა მისცეს. ისინი შეძლებენ დაძლიონ იმ ადამიანების ქმედებები, რომელთა ამოცანები და მიზნები არ ემსახურება არც აშშ-ის უსაფრთხოებას და არც კაცობრიობის გადარჩენას.

სავარაუდოდ, ტრამპი-პუტინის შეხვედრა ჰამბურგში, დიდი ოცეულის სამიტის ფარგლებში გაიმართება. სამიტი 7-8 ივლისაა დაგეგმილი.

გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, თეთრ სახლში უთანხმოებაა ამ შეხვედრის ფორმატის თაობაზე. პრეზიდენტის ზოგიერთი მრჩეველი მიიჩნევს, რომ დონალდ ტრამპი რუსეთის ლიდერებთან კონტაქტებისას მაქსიმალურად ფრთხილი უნდა იყოს. ამის მიზეზი ისაა, არსებობს ეჭვი წინასაარჩევნო პერიოდში ტრამპისა და მისი გარემოცვის რუსეთთან კავშირების შესახებ. ამ საქმის გამოძიებას აგრძელებენ გამოძიების ფედერალური ბიურო და კონგრესი.

რუსეთთან სიფრთხილის გამოჩენის მომხრეები მიიჩნევენ, რომ ტრამპმა პუტინთან ან ხანმოკლე ფორმალური საუბარი უნდა გამართოს, ან ერთმანეთს შეხვდნენ ორი ქვეყნის დელეგაციები, რომლებიც სტრატეგიული სტაბილურობის საკითხს განიხილავენ.

წყარო თეთრ სახლში აცხადებს, რომ თავად დონალდ ტრამპს რუსეთის პრეზიდენტთან სრულყოფილი შეხვედრა სურს და იმედი აქვს, რომ მხარეები იმსჯელებენ საერთაშორისო და ორმხრივ პრობლემებზე, პრესას კი მისი გაშუქების საშუალება მიეცემა.

შეხვედრის ერთ-ერთი თემა სირია იქნება. თეთრი სახლის ინფორმაციით, ბაშარ ასადი სირიაში ახალ ქიმიურ შეტევას აპირებს, რასაც მოჰყვება მშვიდობიანი მოქალაქეების დაღუპვა.

– აშშ სირიაში იმყოფება ისლამური სახელმწიფოს ლიკვიდაციის მიზნით, მაგრამ თუ ბატონი ასადი მასობრივად დახოცავს ხალხს ქიმიური იარაღის გამოყენებით, ეს მას და მის სამხედროებს ძვირად დაუჯდებათ, – აცხადებს თეთრი სახლის წარმომადგენელი.

ამერიკა-რუსეთის ლიდერების შეხვედრის წინ თეთრ სახლსა და კონგრესს შორის კიდევ ერთხელ დაიძაბა სიტუაცია. პრეზიდენტის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ წარმომადგენელთა პალატამ რუსეთის საწინააღმდეგო სანქციები პროცედურის დარღვევით მიიღო.

თავდაპირველად ანტირუსული სანქციები დაამტკიცა ზედა პალატამ – სენატმა, წარმომადგენელთა პალატაში ეს საკითხი სახელმწიფო მდივან ტილერსონის თხოვნით გადაიდო. თუმცა, ამ დღეებში კონგრესის პალატამ ეს საკითხი მაინც გადაწყვიტა, რამაც თეთრი სახლის გაღიზიანება გამოიწვია.

ასადი ახალ ქიმიურ შეტევას ამზადებს

სირიის დიქტატორი ასადი ახალ ქიმიურ შეტევას ამზადებს. ამის შესახებ თეთრი სახლის ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი. დიქტატორი ცდილობს, თავისი ყველა ოპონენტი გაანადგუროს. მათ შორის ისინიც, ვინც ზომიერ ოპოზიციას განეკუთვნება.

– თუკი ასადმა თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა, ეს უზარმაზარ მსხვერპლს გამოიწვევს, – ნათქვამია თეთრი სახლის განცხადებაში.

ბრაზილიის პრეზიდენტს კორუფციაში ადანაშაულებენ

ბრაზილიის გენერალურმა პროკურორმა ჟანომ პრეზიდენტი ტემერი კორუფციაში დააადანაშაულა. გენპროკურორი ამტკიცებს, რომ პრეზიდენტმა მსხვილი კომპანიისგან ქრთამი აიღო. მან ტემერის პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელ ზახაროვას აზრით, ტემერისადმი წაყენებული ბრალდება პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და ამის უკან აშშ დგას.

– ტემერიმ რუსეთისადმი სიმპათიები საჯაროდ დააფიქსირა, აშშ-მაც მის წინააღმდეგ ინტრიგები ააგორა, – ამბობს ზახაროვა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

პეტრო პოროშენკო საფრანგეთის პრეზიდენტს შეხვდა

ვაშინგტონისა და ბრიუსელის შემდეგ პრეზიდენტი პოროშენკო პარიზისკენ გაემართა. საფრანგეთის ახალ ლიდერ მაკრონთან მოლაპარაკებები ერთ საათს გაგრძელდა. შემდეგ პოროშენკო საფრანგეთის პრემიერსაც შეხვდა. მოგვიანებით პრეს-კონფერენციაზე პოროშენკო კმაყოფილებას არ მალავდა. როგორც ვაშინგტონში, ასევე ბრიუსელსა და პარიზში ის პატივით მიიღეს და კონკრეტული დახმარებაც აღუთქვეს.

პრესკონფერენციის დასაწყისში მაკრონმა უკრაინისადმი კეთილგანწყობის საჯარო დემონსტრირება მოახდინა და მიანიშნა, რომ ამის გამო საფრანგეთი რუსების განაწყენებას არ მოერიდება. მაკრონმა უკრაინელ თავადის ქალ იაროსლავას, რომელიც საფრანგეთის მეფეზე გათხოვდა, უკრაინელი პრინცესა უწოდა, რომელმაც საფრანგეთის ისტორიაში უდიდესი როლი ითამაშა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ასევე საჯაროდ გააბათილა კრემლის თეზისი, რომ დონბასში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს. მაკრონმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთმა სუვერენული უკრაინის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესია განახორციელა.

– რუსეთი აგრესორია, – თქვა მან.

მაკრონმა აღნიშნა, რომ მინსკის პროცესს ალტერნატივა არ აქვს. აუცილებელია კონკრეტული შეთანხმებების მიღწევა და მათი განხორციელება. სტაბილური მშვიდობის გარეშე (დონბასიდან რუსული ჯარის გაყვანა, საზღვარზე კონტროლის უკრაინისთვის გადაცემა და ა.შ.) ვერც დონბასის სტატუსის განსაზღვრა უკრაინის ფარგლებში, ვერც თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება ვერ მოხერხდება.

ამით საფრანგეთის პრეზიდენტმა ოფიციალური კიევის პოზიციას მხარი დაუჭირა – ჯერ უსაფრთხოება, შემდეგ კი არჩევნები და დონბასის სტატუსის განსაზღვრა.

მაკრონმა განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში ნორმანდიული ოთხეულის წევრი ლიდერების სატელეფონო საუბარი შედგება. უნდა შეთანხმდეს თარიღი, როცა რუსეთის, უკრაინის, გერმანიისა და საფრანგეთის პირველი პირები ერთმანეთს შეხვდებიან.

– ჩვენი შეხვედრა გერმანიაში დიდი ოცეულის შეკრებას წინ უნდა უსწრებდეს, – ამბობს საფრანგეთის პრეზიდენტი.

ალ-ქაიდამ შვედეთის მოქალაქე ტყვეობიდან გაათავისუფლა



ტერორისტულმა დაჯგუფება ალ-ქაიდამ შვედეთის მოქალაქე იოჰან გუსტფრონი გაათავისუფლა. გუსტფრონი ტყვეობაში 2011 წლიდან იმყოფებოდა და ბევრი მას უკვე დაღუპულად მიიჩნევდა, მაგრამ მისმა მეუღლემ დაადასტურა, რომ 42 წლის გუსტფრონი სამშობლოში დაბრუნდა და ამჟამად თავს კარგად გრძნობს. სხვა ინფორმაცია ცნობილი არ არის. გუსტფრონთან ერთად ჰოლანდიის მოქალაქე სიააკ რაიკე იყო გატაცებული, რომელიც ალ-ქაიდამ 2015 წელს გაათავისუფლა.

გუსტფრონს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

მოამზადა ბექა ვოგინაშვილმა

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

- ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატები. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატი. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.
- სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ნვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

მოჭადრაკე ქალები ბრინჯაოს მედალს დასჯერდნენ

საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრებმა ვერ შეინარჩუნა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული და ხანტი მანტიისკში გამართულ ანალოგიურ გუნდურ ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლების მოპოვება მოახერხა.

ქართველ მოჭადრაკეებს ძალიან ცუდი სტარტი ჰქონდათ – საწყის ხუთ ტურში მხოლოდ 1 გამარჯვება.

მიუხედავად ამისა, ბოლო ძალები მოიკრიბეს და ზედიზედ 4 გამარჯვება მიითვალეს, რის შედეგად 9 მატჩში 12 ქულა დააგროვეს და 3-5 ადგილები გაინაწილეს ინდოეთსა და უკრაინასთან ერთად. თუმცა, საერთო სამატჩო ქულების ჯამით ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

პირველ ადგილზე 16 ქულით მასპინძელთა ნაკრები, რუსეთის ქალთა გუნდი გავიდა, ხოლო მე-2 ადგილზე, 13 ქულით – ჩინეთის ნაკრები.

დასკვნით ტურში ჩვენმა ქალებმა აშშ-ის ნაკრები დაამარცხეს 3:1. გუნდს გამარჯვების ქულა: სალომე მელიამ და ნინო ბაციაშვილმა მოუტანა, ხოლო ნანა ძაგნიძემ და ბელა ხოტენაშვილმა ფრედ დაასრულეს შეხვედრები. რუსეთმა იგივე ანგარიშით ჩვენი უახლოესი კონკურენტი უკრაინა დაამარცხა. ანალოგიური ანგარიშით გაიმარჯვა ჩინეთმა ეგვიპტესთან და ინდოეთმა აზერბაიჯანთან. ხოლო პოლონეთმა 2,5:1,5 მოიგო ვიეტნამთან.

ქართველი მოჭადრაკეების ტექნიკური შედეგები ასეთია: ნანა ძაგნიძე – 3,5 ქულა (8-დან); ლელა ჯავახიშვილი – 3 (7); ბელა ხოტენაშვილი – 5,5 (8); ნინო ბაციაშვილი – 5,5 (8); სალომე მელია – 4 (5). გუნდის კაპიტანი და მთავარი მწვრთნელი დავით ჯოჯუა გახლდათ.

ლევანდოვსკი ბაიერნს არ დატოვებს

მიუნხენის ბაიერნის პოლონელი ფორვარდის აგენტმა ცეზარ კუჩარსკიმ საინტერესო განცხადება გააკეთა იმ სატრანსფერო სპეკულაციებთან დაკავშირებით, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში რობერტის ირგვლივ წარმოიშვა.

კუჩარსკიმ ერთ-ერთ პოლონურ გამოცემასთან დააანონსა, რომ მიუნხენის ბაიერნი მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული კლუბია და მის დატოვებას პოლონეთის საუკეთესო ფეხბურთელი არ აპირებს.

ლონდონის ჩელსიმ, მანჩესტერ იუნაიტედმა და მადრიდის რეალმა კი მის ტრანსფერზე ინტენსიური მუშაობა მას შემდეგ დაიწყეს, რაც მაიკ ბარტელმა განაცხადა, რომ რობერტი უკმაყოფილო იყო მისი თანაგუნდელებისა და მწვრთნელის მოქმედებით ფრაიბურგის წინააღმდეგ გამართული მატჩის შემდეგ.

თუმცა, როგორც ჩანს, პოლონელი აგენტი ამ ყველაფერს დიდ ყურადღებას არ აქცევს, კუჩარსკი კატეგორიულად უარყოფს იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, რობერტი ახლო მომავალში მიუნხენის ბაიერნს დატოვებს.

ცეზარ კუჩარსკი:

– ამ თემის შესახებ საუბარი უკვე აღარ მინდა, მიმაჩნია, რომ ჩემმიერ გაკეთებული განცხადებები მედიამ კარგად გაიაზრა. ვიცით, რომ რობერტ ლევანდოვსკის ბევრი გუნდი ისურვებდა საკუთარ შემადგენლობაში, თუმცა მე ვამბობ, რომ მიუნხენის ბაიერნი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში და რობერტი ამ დიდებული კლუბის დატოვებას არ აპირებს. ფეხბურთელის კარიერისთვის ბავარიულ გრანდში თამაში ერთგვარი პიკია.

პოლონელი ფორვარდი მიუნხენის ბაიერნის რიგებს 2014 წელს შეუერთდა, მას შემდეგ კი რობერტი ბავარიული კლუბის ერთ-ერთ ლიდერად გვევლინება.

არტურო ვიდალმა რონალდუ გალანძღა

ჩილეს ნაკრები კონფედერაციის თასზე ჯგუფიდან მე-2 ადგილიდან გავიდა, დღეს კი სამხრეთამერიკელები პორტუგალიის ნაკრებს შეხვდებიან. ამ მატჩს მიიჩნევენ არტურო ვიდალისა და პორტუგალიელი ვარსკვლავის კრიშტიანუ რონალდუს დაპირისპირებად.

თუმცა არტურო ვიდალს, ჩანს, რომ თავისი გუნდის იმედი აქვს. მან რეალის ვარსკვლავს „ჭკვიანი უკანალი“ უწოდა და დაამატა, რომ პორტუგალიელი ზედმეტად თავდაჯერებულია და მისთვის არ არსებობს.

– მე უკვე ვუთხარი ჩემს თანაკლუბელს ჯოშუა კიმიხს, რომ ჩვენ კვლავ შევხვდებოდით ტურნირზე ერთმანეთს და ეს ფინალი იქნებოდა! – ციტირებს ვიდალის სიტყვებს გერმანული მედია.

სპეკულაციების მიუხედავად, რონალდუს მომავლისა და ესპანეთში საგადასახადო საქმის გარშემო პორტუგალიელმა თავდამსხმელმა ტურნირზე 2 გოლი გაიტანა და 1 შედეგიანი პასიც მიითვალა თავის ანგარიშზე.

საქალაქო სასამართლომ ოლიმპიური კომიტეტის არჩევნები ძალაში დატოვა

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის დასაწყისიდან მიმდინარეობს სასამართლო სხდომები 2016 წლის 23 დეკემბერს ჩატარებული საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპრეზიდენტო არჩევნების ლეგიტიმურობაზე.

იმ არჩევნებზე პრეზიდენტად ლერი ხაბელოვი აირჩიეს, რის შემდეგ პრეზიდენტობის კანდიდატმა ირაკლი მეძმარიაშვილმა სარჩელი შეიტანა და თბილისის საქალაქო სასამართლომ არჩევნების შედეგებისა და სესიის ოქმის ბათილობა ცნო.

ოლიმპიურმა კომიტეტმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და თბილისის საქალაქო სასამართლომ უკვე მათ სასარგებლოდ გამოაცხადა განჩინება. ეს უკვე მეძმარიაშვილის მხარემ გააპროტესტა და თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა სხდომა, რომელზეც მოსამართლე თამარ ჭუნიაშვილმა გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ირაკლი მეძმარიაშვილის სარჩელზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წინააღმდეგ.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა 2016 წლის 23 დეკემბრის სესიაზე სეოკ-ის პრეზიდენტის არჩევნების შედეგების და სესიის ოქმის ბათილობას. შესაბამისად, სასამართლომ არჩევნების შედეგები კანონიერად ცნო.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო მხარეებს გადასცემს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

თედო აბჟანდაძე: „შეკრებისას თავისუფალ დროს მეცადინეობაში ვატარებდი“

თედო აბჟანდაძე – ეს სახელი და გვარი მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის შემდეგ ქართული რაგბის ქომაგისთვის ნაცნობი და ახლობელი გახდა. უმცროსი ბორჯღალოსნების ყველაზე უმცროსი წევრი ჩემპიონატის დაწყებისას ჯერ კიდევ არასრულწლოვანი იყო და 13 ივნისს 18 წლის იუბილე არგენტინის დამარცხებით აღნიშნა.

აბჟანდაძემ რაგბის თამაში მშობლიურ ქუთაისში, ქართული რაგბის ერთ-ერთ ფლაგმან აიაში 8-9 წლისამ დაიწყო და მისი პირველი მწვრთნელები რამაზ სვანაძე და ალეკო ნიქაბაძე იყვნენ.

თედო აბჟანდაძე:

– სკოლაში, კლასში ვიჯექი, როდესაც რამაზ სვანაძე შემოვიდა და ბიჭებს გვითხრა, რომ რაგბის წრე იხსნებოდა, ვისაც სურვილი გვქონდა, შეგვეძლო უფასოდ გვევარჯიშა და ტურნირებშიც მივიღებდით მონაწილეობას. ამ დროს ფეხბურთზე დავდიოდი, თუმცა იდეა მომეწონა და პარალელურად რაგბიზეც დავიწყე სიარული. მწვრთნელი მეუბნებოდა, რომ არც ფეხბურთისთვის დამენებებინა თავი და თუ საბოლოოდ არჩევანს რაგბიზე შევაჩერებდი, ეს ფეხით თამაშის დახვეწაში დამეხმარებოდა. დაახლოებით 2 წელი ორივე სპორტზე დავდიოდი, თუმცა რაგბი უფრო მომწონდა, ალბათ, მისი თამაში უკეთესადაც გამომდიოდა და საბოლოოდ არჩევანი რაგბიზე შევაჩერე. რაგბის თამაშისას უფრო ლაღი ვიყავი, მეტად ვერთობოდი, სკოლისა თუ უბნის მეგობრებმაც რაგბი აირჩიეს და არჩევანის გაკეთებისას ბევრი არ მიფიქრია.

თედო აბჟანდაძე კარგი მორაგბე და კარგი მგეზავია. პარალელურად, ის კარგი მოსწავლეა და დიდი ალბათობით, მომავალში კარგი ექიმი დადგება. 20-წლამდელთა ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ და მისი მსვლელობის პერიოდში, აბიტურიენტი მორაგბე აქტიურად მეცადინეობდა და ივლისში ეროვნულ გამოცდებზე გავა.

– სწავლა ბავშვობიდან მიყვარს, ვცდილობდი კარგად მოვმზადებულიყავი და წელს სამედიცინოზე ვაბარებ. ვნახოთ როგორ გამომივა. მართალია მასწავლებლებთან ვერ დავდიოდი, თუმცა შეკრებისას თავისუფალ დროს მეცადინეობაში ვატარებდი და იმედია სწავლის უნივერსიტეტში გაგრძელებით ჩემს ოცნებას ავიხდენ. სწავლა და განათლება რაგბის თამაშშიც მეხმარება. საკუთარი გამოცდილებით შემიძლია ვთქვა, რომ მორაგბეს განათლება თამაშს მნიშვნელოვნად უადვილებს. თუ ადრე რაგბი ძალისმიერი, ღონეზე ორიენტირებულ თამაშად მიიჩნეოდა, ახლა ყველა თანხმდება, რომ მორაგბისთვის აზროვნება გადამწყვეტია. როდესაც მოედანზე ხარ, გადაწყვეტილება წამის მეასედებში უნდა მიიღო და სწავლა, გონების მუდმივი ვარჯიში სწორედ ამაში გეხმარება, – ამბობს თედო.

შერმადინი ძმები ანტეტოკოუნმპოების გარემოცვაში

პირველად ქართული კალათბურთის ისტორიაში გიორგი შერმადინმა საქველმოქმედო მატჩში ითამაშა. საქართველოს ნაკრებისა და მორაბანკ ანდორას წევრი ათენის პანათინაიკოსის არენაზე მოწყობილ ღონისძიებაში მონაწილეობდა, რომლის დევიზი იყო – ჩვენ ყველანი ძმები ვართ. მატჩი ბერძენი კალათბურთელების – იანის და ტანასის ანტეტოკოუნმპოების მიერ იყო ორგანიზებული.

ეს ორივე ძმა კარგად არის ნაცნობი ქართველი გულშემატკივრებისთვის: იანისი, რომელიც მილუოკი ბაქსში ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელი იყო, წელს ნბა-ს ყველაზე პროგრესირებად კალათბურთელად იქნა დასახელებული და ოკეანის გაღმა მომავალში სუპერვარსკლავად მოიაზრებენ, ტანასისი კი მორაბანკ ანდორაში სწორედ შერმადინის თანაგუნდელი გახლდათ.

15.000 ქომაგის თვალწინ საკალათბურთო შოუ გაიმართა. ძმები ანტეტოკოუნმპოების გუნდში 2013 წლის ევროლიგის ჩემპიონი შერმადინი და ამავე ტურნირის 3-გზის ჩემპიონი კაილ ჰაინსიც ვიხილეთ, მათ წინააღმდეგ კი საბერძნეთის ლეგენდარული ეროვნული ნაკრების (2005-06) წევრები დადგნენ, რომელთაც აშშ-ის ეროვნული გუნდისთვის ბოლო მარცხი აქვთ მიყენებული.

ტეო პაპალუკასს, დიმიტრის დიამანტიდისს, მიხალის კაკიუზისს, კოსტას ცარცარისს, ლაზაროს პაპადოპულოსსა და ნიკოს ხაცივრეტასს მხარში ევროლიგის ამჟამინდელი ვარსკვლავები გიორგიო პრინტეზისი და იანის ბურუსისიც ამოუდგნენ.

სათქმელია, რომ შერმადინი აღნიშნულ კომპანიაში თავს უცხოდ ნამდვილად არ იგრძნობდა, რადგანაც ორივე ბერძნულ გრანდში (პანათინაიკოსი და ოლიმპიაკოსი) უთამაშია და ევროლიგაც სწორედ მაშინ აქვს მოგებული.

სახალისო შეხვედრის მე-3 და მე-4 მეოთხედებს შორის ჩატენვების კონკურსი გაიმართა და ქართველი ცენტრი აქაც მონაწილეობდა. სხვა მონაწილეები კი იანის, ტანასის და კოსტას ანტეტოკოუნმპოები, ნიკოს ხაცივრეტასი და კაილ ჰაინსი იყვნენ. საუკეთესოდ ტანასის სლემი აღიარეს, როდესაც ის თანაგუნდელებს გადაახტა და ბურთი ისე ჩატენა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

რა იწვევს ყელის ტკივილს

ეკა ირემაშვილი

ყელის ტკივილი ბავშვებში საკმაოდ ხშირი მოვლენაა და იგი ნიშნავს ტკივილის შეგრძნებას ხახის არეში ან მის ირგვლივ. როგორც წესი, ის თავისით გაივლის, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება გართულდეს კიდეც.

რა იწვევს ყელის ტკივილს და როგორ განვასხვავოთ ვირუსული და სტრეპტოკოკული ყელის ტკივილი? – ამ თემებზე იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს რესპირაციული მედიცინის დეპარტამენტის პედიატრიული მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი ნანა ცხაკაია საუბრობს.

ნანა ცხაკაია:

– ყელის ტკივილი ბავშვებში საკმაოდ ხშირი მოვლენაა და იგი ნიშნავს ტკივილის შეგრძნებას ხახის არეში ან მის ირგვლივ. როგორც წესი, ის თავისით გაივლის, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება გართულდეს კიდეც.

დაავადების სიმპტომების აღქმა მცირე ასაკის ბავშვების განვითარებასა და უნარზეა დამოკიდებული. ბავშვები სიმპტომებს სხვადასხვანაირად აღიქვამენ, ამიტომ ექიმს დიდი ყურადღება და სიფრთხილე მართებს ბავშვისა და მისი მომვლელის ჩივილის ზუსტი ბუნების მისახვედრად.

– რა იწვევს ყელის ტკივილს?

– ყელის ტკივილს იწვევს ინფექცია, რომელიც ორი სახისაა – ვირუსული და ბაქტერიული და ხახის ანთების ანუ ფარინგიტის განვითარების შედეგად ვლინდება.

იმის გამო, რომ ბავშვები ხშირად ეხებიან ერთმანეთს, უზიარებენ სათამაშოებს, პირში იდებენ ნივთებს, იოლია მიკრობების ერთი ბავშვიდან მეორეზე გადაცემა.

ვირუსული ფარინგიტი ყელის ტკივილის ყველაზე ხშირი მიზეზია და მას უხშირესად ჩვეულებრივი რესპირაციული ვირუსები – გრიპი, პარაგრიპი, ადენოვირუსი და სხვა ვირუსები იწვევენ.

ბაქტერიულ ფარინგიტს კი ჩვეულებრივ სტრეპტოკოკული ინფექცია ა ჯგუფის სტრეპტოკოკი იწვევს და ზამთრის პერიოდში ყელის ტკივილის მიზეზისა და ფარინგიტის მიზეზის 30 პროცენტს შეადგენს.

– როგორ განვასხვავოთ ვირუსული და სტრეპტოკოკული ყელის ტკივილი?

– მათი ერთმანეთისგან განსხვავება რთულია, მაგრამ არსებობს რამდენიმე სახასიათო ნიშანი – ვირუსით გამოწვეულ ყელის ტკივილს თან სხვა სიმპტომებიც ახლავს, მაგალითად, ეს სიმპტომებია ცხვირიდან გამონადენი, ხველა, შეცვლილი ხმა, შესაძლოა, თვალების ქავილი ან სიწითლეც კი განვითარდეს.

როცა სახეზეა სტრეპტოკოკული ფარინგიტი – სტრეპტოკოკული ყელის ტკივილი, ასეთ შემთხვევაში იგი უფრო ძლიერად არის გამოხატული, ტემპერატურა აღწევს 38 გრადუსზე უფრო მაღალ გრადუსს და კისრის არეში აღინიშნება გადიდებული, შეშუპებული ლიმფური კვანძები. შესაძლოა შევამჩნიოთ სიწითლე სასის ზედა ნაწილზე ან თეთრი ნადები ნუშისებრ ჯირკვლებზე. სტრეპტოკოკულ ყელის ტკივილს არ ახასიათებს ხველა, ცხვირიდან გამონადენი, თვალების ქავილი ან სიწითლე და ჩვილებში იგი იშვიათია.

– კიდევ რამ შეიძლება გამოიწვიოს ყელის ტკივილი?

– ყელის ტკივილი შესაძლებელია გამოიწვიოს სხვა მიკრობებმაც. ასეთია, მაგალითად, ეპშტეინ ბარის ვირუსი, რომელიც ინფექციურ მონონუკლეოზს იწვევს. მისი განსხვავება სტრეპტოკოკული ფარინგიტისგან ძნელია. მასაც ახასიათებს კისრის ლიმფური კვანძების გადიდება, თეთრი ნადები ნუშისებრ ჯირკვლებზე, მაგრამ გამოხატულია ცხვირით სუნთქვის გაძნელება, დუდღუნა ლაპარაკი, ღვიძლისა და ელენთის გადიდება.

იშვიათია ნუშისებრი ჯირკვლების ისეთი გადიდება ამ დაავადების დროს, რომელმაც შეიძლება სუნთქვის დარღვევა გამოიწვიოს.

ფანჯრიდან გადავარდნილი ბავშვი სათამაშო ძროხამ გადაარჩინა

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ჩელსიში, მეორე სართულის ფანჯრიდან გადავარდნილი ორი წლის ბიჭი რბილი სათამაშოს წყალობით გადარჩა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ბავშვი დასთან თამაშობდა, მან საწოლზე ხტუნვა დაიწყო და შემთხვევით ფანჯარაში გადახტა. ის ხუთი მეტრის სიმაღლიდან ცემენტის იატაკზე დაეცა. დარტყმის ძალა შეამცირა დიდმა რბილმა სათამაშო ძროხამ, რომელიც ბავშვს ხელში ეჭირა.

– მან რამდენიმე დაჟეჟილობა მიიღო და შუბლი გაუსკდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ყველაფერი წესრიგშია, – განაცხადა ქალაქის სახანძრო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯონ კვატიერიმ. მან აღნიშნულ ინციდენტს მეტად უცნაური უწოდა და აღნიშნა, რომ თავისი 25-წლიანი კარიერის მანძილზე მსგავსი არაფერი უნახავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვალერი ურიდია: საახალწლო სამზადისის დროს მივიღე მე-3 ხარისხის დამწვრობა. მივმართე საავადმყოფოს. ორი დღის განმავლობაში მდგომარეობა ძალიან დამიმძიმდა. გვირჩიეს ლამარა თოდუას მალამო. პირველი პროცედურის შემდეგ ვიგრძენი, რომ ტკივილი ნელ-ნელა ქრებოდა. სამი პროცედურის შემდეგ ნორმალური ძილი და ჭამა შევძელი. ლამარა თოდუას მალამომ მთლიანად მომიშუშა დამწვარი ფეხები, ხელის მტევნები და სახე, ისე, რომ ნაწიბურც არ მემჩნევა.

თამარ ხარხელი: მყავს 78 წლის ლოგინს მიჯაჭვული დედა. გაუჩნდა ნაწოლები. მივმართე ლამარა თოდუას. მისმა მალამოებმა და ლოსიონმა დედაჩემს შვება მოჰგვარა და ორი კვირის მკურნალობის შემდეგ ნაწოლების ადგილზე სიწითლეც აღარ შეინიშნება.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ტეილორ სვიფტს ავსტრალიაში ორეული გამოუჩნდა

ავსტრალიის კვისლენდის შტატის მცხოვრები გოგონა, რომელიც კომპანია Domino,s Pizza-ში პიცის დამტარებლად მუშაობს, ამერიკელ მომღერალ ტეილორ სვიფტს შეადარეს.

თავად 18 წლის ტიგანი ჯარატი თავდაპირველად ვერ ამჩნევდა ვარსკვლავთან საკუთარ მსგავსებას. ავსტრალიელ გოგონას, რომელიც ანორექსიით იყო დაავადებული, გამვლელები და პაპარაცები გამუდმებით აჩერებდნენ, ვინაიდან ის მომღერალში ერეოდათ. ამის გამო გოგონა ცდილობდა, რაც შეიძლება იშვიათად გამოჩენილიყო ხალხში.

ახლა კი ჯარატი მის დანახვაზე ადამიანების რეაქციას შეეჩვია, ანორექსიისგან განიკურნა და საზოგადოებაში ყოფნისგან კმაყოფილებას იღებს. ავსტრალიელი გოგონა აპირებს მოდელის კარიერაში სცადოს ბედი და სვიფტს თავისთვის მისაბაძ მაგალითს უწოდებს.

შეგახსენებთ, რომ ტეილორ სვიფტი 27 წლის ამერიკელი ქანთრი-პოპ-მომღერალია, რომელსაც უკვე 40 მილიონზე მეტი ალბომი აქვს გაყიდული და „გრემის“ 10 ჯილდო აქვს მიღებული.

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

სითხე მენტორი — 4

დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.

გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.

☎ 599-73-48-21

ასტროპრომნოზი

28 ივნისისთვის

ვერძი – შესაძლოა, საჯარო მოხელეებმა დღეს ახალი თანამდებობა მიიღოთ. შემოთავაზებულ წინადადებას უყოყმანოდ დათანხმდით. **კურო** – მოტყუების ალბათობა დიდია. ფხიზლად იყავით. ნეგატივს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. **ტყუპები** – ყოველგვარი შეხვედრა გადადეთ. იმედი გიცრუვდებათ. დეპრესიული დღეა. **კირჩხიბი** – საქმიან ურთიერთობებში გიმართლებთ. ემოციებს გასაქანი მიეცით. **ლომი** – თქვენი ფორიაქი ინტიმურ სფეროში ამაოა. თამამად იარეთ წინ. **ქალწული** – ნებისმიერი პრობლემის მოსაგვარებლად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. წვრილმანებს ყურადღება მიაქციეთ. **სასწორი** – კონფლიქტი დილიდანვეა მოსალოდნელი. ნუ იქნებით კატეგორიული. **ღრიანკალი** – კარგად დაისვენეთ. გეგმების განსახორციელებლად ენერგია გჭირდებათ. **მშვილდოსანი** – ყველა საქმე გამოგდით, ოღონდ – დიდი ძალისხმევის ფასად. დღის ნეგატიურ ტენდენციებს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. **თხის რქა** – აზრები და გრძნობები დაალაგეთ. პარტნიორთან გულღია იყავით. **მერწყული** – სულიერად გაწონასწორებული ხართ. საკმაოდ მშვიდი დღეა. უცნობ ადამიანებთან კონტაქტს ერიდეთ. **თევზები** – ივარჯიშეთ, იკითხეთ წიგნები და თავს ბევრად უკეთესად იგრძნობთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ლეღვის ნაყოფში არსებული ალკალოიდი; 2. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება; 3. დაავადებული ორგანოს სრული ან ნაწილობრივი მოკვეთა; 4. მდინარე რიონის მარცხენა შენაკადი; 5. გეოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს დედამიწის ქერქის მოძრაობისა და დეფორმაციის პროცესებს. 9. ავსტრიელი ექიმი ფსიქოანალიზის ფუძემდებელი; 12. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 14. მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ; 15. უბანი თბილისში; 17. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი.

თარაზულად: 6. ბადრიჯნითა და პამიდვრით მომზადებული ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი; 7. ვირტუოზი ქართველი ხელბურთელი; 8. მოყვითალო ფერის სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე; 10. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 11. წყლის შიში; 13. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 16. არქტიკული ზონის უტყეო სივრცე; 19. ქალაქი ბელგიაში, სადაც განთავსებულია „ნატოს“ შტაბბინა; 20. ესპანური ხალხური ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დანი; 2. პოლკა; 3. ნაიკი; 5. ცერული; 6. თეოლოგია; 9. დეიტერიუმი; 10. ბალანჩინი; 11. იეროგლიფი; 14. გნუ; 16. სესილი; 18. პინო.

თარაზულად: 1. დნიპრო; 4. ცუცხვათი; 7. ალდაგი; 8. კარფური; 12. ქიმია; 13. იგუანა; 15. „ნაბუკო“; 17. „აია“; 19. ლეიკოციტები; 20. ვისკი; 21. ჯოკერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ხატწერა; 2. სფერო; 3, სიბარიტი; 4. გოდერძი; 5. კალვადოსი; 9. გლაქსო; 12. სტალონე; 14. არმაზი; 15. ერბო; 17. დრონი; 18. „ჯანი“.

თარაზულად: 6. ზარაფი; 7. ბიოლოგია; 8. მწყერი; 10. „ბრაგა“; 11. ჰაუპტვახტი; 13. პამპერსი; 16. ეტიუდი; 19. ავტობანი; 20. პიტიუნტი.

თენგიზ მუშკუდიანი 90 წლისაა

ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი გამორჩეული მომღერალი თენგიზ მუშკუდიანი 90 წლისაა. საიუბილეო თარიღი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში აღინიშნება.

28 ივნისს კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართება თენგიზ მუშკუდიანისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ოპერის თეატრის სოლისტები, კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

თენგიზ მუშკუდიანი ფართო საზოგადოებამ ფილმ „აბეზარაში“ არქიტექტორის როლით გაიცნო. მისი პარტნიორი ლეილა აბაშიძე იყო. საოპერო მომღერალი გადაღებების პროცესს ყოველთვის სიამოვნებით იხსენებს და აღნიშნავს, რომ ფილმზე არაჩვეულებრივი შემოქმედებითი გუნდი მუშაობდა.

ღვაწლმოსილ საოპერო მომღერალს მრგვალი თარიღი უკვე მიულოცეს მისმა სტუდენტებმა, ცნობილმა საოპერო მომღერლებმა, 28 ივნისს კი თენგიზ მუშკუდიანისთვის იუბილეს მილოცვა ნებისმიერ მსურველს შეეძლება, რადგან კონსერვატორიაში გამართულ ღონისძიებაზე დასწრება ყველასთვის თავისუფალია.

ინტეგრირებულმა თეატრმა „კაცია-ადამიანი?!“ დადგა

ინტეგრირებულმა თეატრმა „აზდაკის ბაღმა“ სპექტაკლი „კაცია-ადამიანი?!“ დადგა.

ერთმოქმედებიანი სპექტაკლის პრემიერა მოზარდ მაყურებელთა თეატრში გაიმართა.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლი სინქრონულად ითარგმნა ჟესტურ ენაზე სურდო თარჯიმნის მიერ სმენისა და მეტყველების არმქონე მაყურებლისათვის.

ინტეგრირებული თეატრი „აზდაკის ბაღი“ აერთიანებს 16 შეზღუდული შესაძლებლობისა და 8 ტიპური განვითარების მქონე მსახიობს, რომლებიც აპრილიდან სისტემატურად გადიოდნენ სპექტაკლისათვის მოსამზადებელ რეპეტიციებსა და ტრენინგებს მსახიობის ოსტატობასა და მეტყველების კულტურაში.

თეატრში მოღვაწეობს უკვე ცნობილი ტელეწამყვანი გიგო შიუკაშვილიც.

სპექტაკლს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და პირველი ლედი მაკა ჩიჩუა ესწრებოდნენ:

– ამ თეატრის მუდმივი მაყურებელი ვარ და ყველას მოვუწოდებ, ეს სპექტაკლი აუცილებლად ნახონ. ამ დასს უკვე წელიწადზე მეტია ვიცნობ, ვნახე მათი არაჩვეულებრივი სპექტაკლი, აღტაცებული ვარ და მინდა, ყველა დავპატიჟო. მსახიობები არაჩვეულებრივად ართმევენ თავს საქმეს. ისინი სცენაზე ნამდვილი პროფესიონალები არიან. აღფრთოვანებული ვარ, იმდენად პროფესიონალურად ართმევენ თავს მსახიობები დაკისრებულ როლებს. ბევრს იცნობს კიდეც ქართველი საზოგადოება. ვიწვევ ყველას სპექტაკლის სანახავად.

თეატრმა, რომლის მხარდამჭერიც საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდია და რომელიც ტიპური განვითარების მსახიობებთან ერთად სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირებს აერთიანებს, უკვე მესამე სპექტაკლი შესთავაზა მაყურებელს.

– მსახიობებმა შესანიშნავად იმუშავეს, კარგი ინტეგრაცია გამოვიდა. ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანას მსგავსი ტიპის თეატრი აუცილებლად უნდა ჰქონდეს, – განაცხადა სპექტაკლის რეჟისორმა.

„იქს ფაქტორი“ თამარ ედილაშვილმა დატოვა

„იქს ფაქტორის“ ნახევარფინალი ყველაზე დრამატული და მძიმე აღმოჩნდა როგორც მაყურებლისთვის, ასევე ჟიურისა და შოუში მონაწილე კონკურსანტებისთვისაც.

ნახევარფინალიდან ფინალში გადასასვლელად იბრძოდნენ ჯგუფი „მიქსტურა“, გრიგოლ ყიფშიძე, სანდრო კურცხალიძე და თამარ ედილაშვილი. ოთხივე ნახევარფინალისტმა ორ-ორი სიმღერა შეასრულა – 4 გრემის მფლობელი სიმღერები და მაიკლ ჯექსონის უკვდავი ჰიტები.

მაყურებლის გადაწყვეტილებით, აუტსაიდერები გახდნენ გრიგოლ ყიფშიძე და თამარ ედილაშვილი. გიორგი გაბუნიას ორივე კონკურსანტი ერთდროულად აღმოჩნდა გავარდნის კანდიდატი. ეს ფაქტი იმდენად მოულოდნელი იყო გიორგისთვის, რომ მან არჩევანის გაკეთებაზე უარი თქვა და იტირა. ატირებული მენტორი სოფო ნიჟარაძემ დაამშვიდა. ცრემლებს ვერც სხვა მენტორები იკავებდნენ.

ლელა წურწუმიამ თავისი ხმა გრიგოლ ყიფშიძეს მისცა, სოფო ნიჟარაძემ – თამარ ედილაშვილს, გადამწყვეტი ხმა სტეფანეს ერგო, რომელმაც თავისი არჩევანი გრიგოლზე შეაჩერა და პროექტი თამარ ედილაშვილმა დატოვა.

„იქს ფაქტორის“ ნახევარფინალში სულ 51.132 ზარი შევიდა. 34.47 პროცენტით ლიდერი კვლავ სანდრო კურცხალიძე გახდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ნინო ანანიაშვილი იაპონიაში დაჯილდოვეს

ქართველი პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი საქართველოში იაპონიის ელჩის ტოშიო კაიტანის რეზიდენციაში მიიწვიეს, სადაც თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის იაპონიის იმპერატორის ლენტით დამშვენებული „ამომავალი მზისა და ოქროს სხივების“ ორდენით დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, იმპერატორის ჯილდო ქართველ ბალერინას იაპონიასა და საქართველოს შორის კულტურულ ურთიერთობებსა და იაპონური საბალეტო საზოგადოების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის იაპონიის მთავრობის გადაწყვეტილებით მიენიჭა.

ლენტით დამშვენებული „ამომავალი მზისა და ოქროს სხივების“ ორდენი ქართველ პრიმას პირადად გადასცა იაპონიის საგარეო საქმეთა საპარლამენტო ვიცემინისტრმა მოტომე ტაკისავამ, რომელმაც ასევე სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას.

საბალეტო ხელოვნების განვითარებაში ნინო ანანიაშვილის როლსა და მის მიღწევებზე ისაუბრეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძემ და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ.

სიტყვით გამოსვლისას მათ ასევე აღნიშნეს საქართველოსა და იაპონიას შორის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით კი კულტურის სფეროში არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობა და ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების საიუბილეო თარიღის მნიშვნელობა.

ელდარ შენგელაიას ახალ ფილმს საერთაშორისო კინოფესტივალზე აჩვენებენ

ელდარ შენგელაიას ახალ ფილმ „სავარძელს“ 28 ივნისს მოსკოვის საერთაშორისო 39-ე კინოფესტივალის პროგრამა „ოსტატებში“ აჩვენებენ.

საერთაშორისო კინოფესტივალის პროგრამა „ოსტატებში“ ასევე ნაჩვენები იქნება ისეთი დიდი რეჟისორების ფილმები, როგორებიც არიან ენგ ლი, ჟაკ დუაიონი, მიქელე პლაჩიდო, რომელიც მოსკოვში აჩვენებს ახალ ფილმს „7 წუთი“.

ინფორმაციას საქართველოს კინოაკადემია ავრცელებს:

– ძალიან საინტერესო იქნება შარშან გარდაცვლილი შესანიშნავი ირანელი კინორეჟისორის აბას კიაროსტამის ფილმის ნახვა, რომელიც მისმა შვილმა, ახმადმა დაასრულა. მსოფლიოს კინემატოგრაფისტების ბედის განმსაზღვრელი ტერი ფრემი კი მაყურებელს კინემატოგრაფის გენიალური გამომგონებლების, ლუმიერების შესახებ შექმნილ ფილმს წარუდგენს. ასე რომ, მოსკოვში, 28 ივნისს პროგრამა „ოსტატების“ დამსწრე საზოგადოებას დიდი სიამოვნება ელის.

სამგლოვიარო განცხადებები

პაატა გოროდინსკის

დედის მოგონება



შვილო, ეს „არც სიცოცხლეა, არც სიკვდილი, არამედ რაღაც სხვაა“.

პაატა, შვილო, შენ ჩემო ჟანგბადო, 18 წელია ვცოცხლობ, მაგრამ ამას სიცოცხლე არ ჰქვია, მეც შენთან ერთად საფლავში ვარ სულიერად. აქ მხოლოდ მოსიარულე სული ვარ. ღმერთმა გამომიგზავნა ისეთი განსაცდელი, რომლის დაძლევა მხოლოდ ადამიანს შეუძლია. ამის ნაწილი მეც აღმოვჩნდი.

მერამდენე გაზაფხულით იგონებს დედაშენი შენს მარადიულ ახალგაზრდობას, რომელიც ღმერთმა მარგუნა წილად... იქ დამთავრდა დედაშენის ცხოვრება და სინათლე. შენ იყავი ოჯახი სუნთქვა და ეს სუნთქვა იქნება მანამ, სანამ მე ვარ. შენ არ მოგკლავ, მუდამ ჩემთან იქნები.

შვილო, პაატა, ტყუილად არ არის ნათქვამი „ვინც კვდება, თავის თავს უკვდება“-ო, მაგრამ შენ სამყაროსაც მოუკვდი და საკუთარ თავსაც. შენი აუწონავი ღიმილით, მაგრამ მუდამ მაინც ღრმად სევდიანი, ფარულად რომ აისახება შენს თბილ თვალებში... რატომ იყო ეს სევდა?! ალბათ, სევდა ადამიანობის და ბოლომდე ვაჟკაცად დარჩენის... სანამ ვცოცხლობთ, ის ჯერ არ არის და როცა ვკვდებით, უკვე გვიანაა.

დედიკო, შენსა და ჩემს შორის დრო არ არსებობს. 18 წელია თავი არ ამიწევია და თვალებში არ გამომიხედია წესიერად. ცხოვრებას ვაგრძელებ... გადავწყვიტე, თავი დამესაჯა, მაგრამ ამით რა?! რაც დაავადება არსებობს, ყველაფერი მივიღე... საფლავამდე მოსვლა მიჭირს. რა ქვია ამ ცხოვრებას შვილის გარეშე. იცოდე, იმაზე მეტად მიყვარხარ და მეცოდები, ვიდრე იყო „დედის და შვილის სიყვარული“. გამოუთქმელად, შეხედვით, არავის ეგონოს, რომ მკაცრი დედა ვიყავი, არა მხოლოდ მომთხოვნი ლაპარაკის გარეშე, მეორე და მესამე პირში „საქმით“, რომელიც ძალიან კარგად გამოგვდიოდა ბოლომდე.

დედი, ანგელოზი იყავი... არ ვაჭარბებ, ამით მომერიე და გამასწორე მიწასთან.

ვერა, ვერ შეძლო დედაშენმა გონებისა და ფიქრის შეცვლა. მომხდარი შემეხორცა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ არ მტკივა...

მიუხედავად იმისა, რომ ჩემნაირად გაუბედურებული დედები გვირჩევენ ცხოვრების წესის შეცვლას, არა, არ არსებობს შენ გარეშე დედის სიცოცხლეს აზრი ჰქონდეს. მე ვცოცხლობ ერთი ქვისთვის, ეს ქვა შენია, რომელსაც მინდა სიცოცხლე და მოგონება გავუხანგრძლივო, თორემ... რა არის სიცოცხლე.

როცა წერილს გიწერ, მგონია სიბრაზისგან ხელით გეხები. რატომ, მიპასუხე... ეს ხომ წერილი არ არის, გელაპარაკები. მომეცი პასუხი!!! რატომ დუმხართ ყველა, ნუთუ არ ფიქრობთ ჩემზე. მიყვარხართ ყველა ძალიან. თქვენი დახმარება მჭირდება, ნუ გამომაკეტინებთ კარებს. შვილო, ნუთუ ამოიწურა შენი დახმარება.

პაატა, შვილო, რა გინდოდა, მაკას რატომ დაესიზმრე, ხომ არ დაგაკელი რამე, მგონი კარგ ხასიათზე ყოფილხარ, სახლის წინ დადიოდი. ვიცი, საფლავს აკლია მოვლა. ყოველ კვირას ვერ გაკითხავ... ახლა კი ოფიციალურ დღეებში მოვდივარ... ასეა და რა ვქნა.

მშვიდად განისვენე, ჩემო დარდო და ტკივილო. ღმერთი იყოს შენი მფარველი. ნათელში ამყოფოს შენი ზეცად ამაღლებული სული.

უმწეო დედა ღულუნი ჯუღელი

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პროგრამა

ოთხშაბათი 28 ივნისი

07.00 დოკ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 04.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. **"ძველი ნიდის საიდუმლო"** **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "ფერმა" **14.20** "სიტყვების თამაში" **15.00, 02.10** C - სტუდია **16.30** "დღე მუზეუმში" **17.00, 03.10** "რეალური სივრცე" **18.30** "ზღვარზე" ტელებლოგში **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. **"ველვეტი"** **21.50 ფეხბურთში** კონფედერაციის თასის გათამაშება .1/2 ფინალი **00.00** მხ/ფ **"ბლუზი უკითხეს ცხოვრებაზე"**

08.00 დოკ/ფ "ლეტიცია და მისი მგლები" **09.00** დოკ/ფ "ქვეყანა ბავშვების გარეშე" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დოკ/ფ "ლანსის ლუვრის გალერეა" **11.05** დოკ/ფ "მბჯენარი წყლის ჯუნგლები" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. **"ჯედრის ჟურა"** **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. **"კატერინა და მისი ქალიშვილები"**

05.50, 14.40 სერ. **"ელიფი"** **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.25** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. **"პაპარაცალი"** **11.20** სერ. **"ფიცი"** **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. **"სპამბოლის ორი სახე"** **18.45, 19.03** სერ. **"მოპარული ცხოვრება"** **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** შინაურები **00.30** მხ/ფ **"ქლიი"** **02.40** მხ/ფ **"დარტყმულები"** **04.25** მხ/ფ **"შუამავალი"**

06.00, 18.45 სერ. **"შენი ზოლიაქოს ფერი"** **06.45, 20.03** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"მფარველი ანგელოზი"** **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. **"ფერიპას საიდუმლო"** **15.30** სერ. **"ინდური საბა"** **16.55** სერ. **"დაკარგული წლები"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე

08.00 ან/სერ. "ვარსკვლავური ომები - მეამბოხეები **09.00** სერ. **"ერთხელ ზღაპარში"** **13.00** სერ. **"მოტივი"** **15.00** სერ. **"ანტიმატერია"** **17.00** სერ. **"კრიმინალური აზროვნება"** **19.00** სერ. **"შავი სია"** **21.00** სერ. **"მაფიოზა"** **22.30** მხ/ფ **"მომნუსხველი წაი"** **0.20** მხ/ფ **"სიყვარული შეტყობინებით "** **2.10** მხ/ფ **"ჯენტლმენთა თამაშები"** **4.05** მხ/ფ **"უკანასკნელი სიმღერა"** **6.05** მხ/ფ **"დაივიწყე პარიზი"**

08.00 ანანდა **08.15** მულტფილმი **08.30** სერ. **"ღმერთების ხელდასხმული"** **09.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.50** სერ. **"სიყვარულსა და შიშს შორის"** **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.30** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 2.35** ახალი ამბები **11.25** დოკ/ფ "ბრძოლა არსებობისთვის" XIII ნაწ. **12.00** მოდი გავიყაროთ **13.00, 03.55** ბიზნესკოდი **14.30** მე რომ ვიყო **15.00 3**-დან **5**-მდე **16.20** დოკ/ფ "გმირები" საბიას დედოფალი II ნაწ. **18.00, 0.00** ფაბრიკა **20.00, 02.55** პრიორიტეტი **21.10** კიჭილიქსი **21.30** ინტერვიუ ვანიჩკასთან **22.35** სერ. **"სიყვარულსა და შიშს შორის"** **1.00** მხ/ფ **"ბალისტიკა"**

06.15 დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** დ/ფ "ელადის მიწაზე" **10.40** დ/ფ "ველური ბუნება"-ცეკვა ფარშავანგებთან ერთად **11.10** მიწათმოქმედი "მეფუტკრე კვაშტადან" **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "სპილენძი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** აქტუალური თემა "პატრიოტიზმი" **15.50** კონცერტი **17.10** "ერთსულოვანი ოჯახი"-ჭკუასელები **17.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.15** დ/ფ "გზა წმინდა პაისიდან წმინდა სპირიდონამდე" **19.35** მხ/ფ **"მსურველებს შეუძლიათ ჩაეფერონ"** **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** დ/ფ "ენათმეცნიერი-ალექსანდრე ფოცხიშვილი" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ივერიის ეკლესია "საქართველოს ეკლესია ავტოკეფალიის აღდგენა" **2 00.30** დ/ფ "იერუსალიმი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფო ზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

28 ივნისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4075
- ევრო — 2.6921
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0662
- 100 რუსული რუბლი — 4.0771

ამინდის პროგნოზი 28 ივნისისთვის

27 ივნისიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი
მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

21 ივნისიდან

ილია ილფი
ევგენი პეტროვი

თორმეტი სკამი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ბარსელონა ივან რაკიტიჩის გაყიდვას არ აპირებს

ბარსელონა თავისი ნახევარმცველის ივან რაკიტიჩის გაყიდვას არ აპირებს. ამის შესახებ ინფორმაცია კატალონიურ პრესაში ვრცელდება.

რაკიტიჩის სახელს ბევრ გუნდს უკავშირებდნენ, მაგრამ ბარსელონის ახალმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ განაცხადა, რომ რაკიტიჩი მისი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და რამდენიმე სეზონი ის გუნდიდან არ წავა.

რაკიტიჩი ბარსელონაში 2014 წელს გადავიდა, მანამდე კი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში სევილიის ღირსებას იცავდა.

გარეთ ბეილი რეალში რჩება

მადრიდის რეალის უელსელი ნახევარმცველი გარეთ ბეილი რეალიდან წასვლას არ აპირებს. ივნისის დასაწყისში აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბეილი რეალიდან წავიდოდა და მისი მომავალი გუნდი მანჩესტერ იუნაიტედი იქნებოდა. მანჩესტერი ამ ტრანსფერში 100 მილიონ ევროს იხდიდა, მაგრამ რეალში ჩათვალეს, რომ ბეილი ისევ სჭირდებათ და უელსელ ფეხბურთელს შეუძლია რეალისთვის სარგებლობის მოტანა.

ბეილი სამეფო კლუბს 2013 წელს შეუერთდა, როდესაც სამეფო კლუბმა მასში რეკორდული თანხა 100 მილიონი ევრო გადაიხადა.

ალვარო მორატას მომავალი გაურკვეველია

მადრიდის რეალის ახალგაზრდა ფორვარდ ალვარო მორატას მომავალი გაურკვეველია. არ წყდება საუბრები იმის შესახებ, რომ მორატამ შესაძლოა მანჩესტერ იუნაიტედის მაისური მოირგოს, თუმცა ეს ტრანსფერი გაჭიანურდა, რადგან რეალი მორატას ვერ ელევა და ფეხბურთელიც, თავის მხრივ, არ ჩქარობს გადაწყვეტილების მიღებას.

მანჩესტერ იუნაიტედი მზად არის, მორატას ტრანსფერში 80 მილიონი ევრო გადაიხადოს. მორატა მადრიდის რეალის აღზრდილია, თუმცა ორი სეზონის განმავლობაში ტურინის იუვენტუსის ღირსებას იცავდა და მშობლიურ კლუბში შარშან დაბრუნდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

„სექსი ტელეფონით“ სამსახურში მამაკაცი რეკავს. მას პროფესიონალი ქალის ხმა ეკითხება:

– ყველაზე უფრო რომელი სახელი მოგწონს?

– ლალი...

– ვაიმე! როგორ გაგიმართლა! სწორედ ლალი მქვია. და როგორი ფერის თვალები მოგწონს?

– ნაცრისფერი...

– ოჰ, როგორ გაგიმართლა! სწორედ ნაცრისფერი თვალები მაქვს. და ფიგურა?

– არც ისე მაღალი, ფეხები სწორი...

– ნამდვილად გაგიმართლა! მაღალი არ ვარ, სწორი ფეხები მაქვს. და მკერდი!.. დიდი, რბილი...

– არა, მე მიყვარს პატარა და მკვრივი!

– ოჰ, გაგიმართლათ! მეორე სწორედ პატარა და მკვრივია...

•••

ცოლი თანამდებობის პირ მეუღლეს ეკითხება:

– როგორია შენი ახალი მდივანი?

– ძალზე გამოცდილი, შემსრულებელი და ყველაფერი უსიტყვოდ ესმის.

– იმედი მაქვს, ისეთივე თოჯინა არ იქნება, როგორიც შენი ადრინდელი მდივანი იყო!

ამ დროს მათი ხუთი წლის გოგონა მამას ეკითხება:

– მამიკო, როდესაც ზურგზე აწვენ, თვალები ეხუჭება?

•••

პლაჟზე ძალიან მაგარი ფიგურის მქონე გოგონა წევს და ირუჯება. მოულოდნელად მასთან ხანდაზმული მამაკაცი მივა და ეუბნება:

– გოგონი, თქვენმა მკერდმა აღმაფრთოვანა. ნებას დამრთავთ, რომ ხელი გადაუსვა. ამისთვის ხუთ ლარს გადაგიხდით.

– შენ რა, ბებერო, გააფრინე.

– ნუ ბრაზობთ, ორმოცდაათ ლარს მოგცემთ!

– მომწყდი თავიდან!

– კარგით, ხუთასი იყოს.

– თავიდან მომწყდი შე გათახსირებულო.

– ათას ლარზე რას იტყვი? თანახმა ხარ?

– ათასი? კარგი, ბაბუ, მხოლოდ ჩქარა.

მოხუცი მკერდზე ხელს უსვამს და გამუდმებით იმეორებს:

– ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

– ბაბუ, რა „ღმერთო ჩემო“ აგიტყდა?

– ღმერთო ჩემო, სად უნდა ვიშოვო ათასი ლარი?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

29 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკი

ოცდაათი წლის ქალი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ამერიკელი ქალები მელანია ტრამპს ემსგავსებიან

აშშ-ში მცხოვრები ქალბატონები კოსმეტიკურ ოპერაციებს იკეთებენ იმისთვის, რათა ქვეყნის პირველ ლედის, მელანია ტრამპს დაემსგავსონ.

როგორც ერთ-ერთ ადგილობრივ გამოცემას ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში მომუშავე პლასტიკურმა ქირურგმა ფრანკლინ როუზმა განუცხადა, ბოლო წლებში პაციენტები ითხოვდნენ, ისინი პრეზიდენტის ქალიშვილის ივანკა ტრამპისთვის დაემსგავსებინათ, მაგრამ არც ისე დიდი ხნის წინ მათ ახალი კერპი გაუჩნდათ სახელმწიფოს მეთაურის, 47 წლის მეუღლის სახით.

– ივანკა მოდიდან გავიდა და მელანი შემოვიდა, – ხუმრობით აღნიშნა ქირურგმა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, როუზის ერთ-ერთმა კლიენტმა, კლაუდია სიერამ, იმისთვის, რომ მისის ტრამპს დამსგავსებოდა, ისეთი ქირურგიული ოპერაციები გადაიტანა, როგორიცაა მკერდის დაპატარავება, რინოპლასტიკა, ამდომინოპლასტიკა, ლიპოსაქცია, გლიუტეოპლასტიკა და ბლეფაროპლასტიკა. როგორც თავად სიერამ განაცხადა, მისთვის მელანია ძალაუფლებასა და ძლიერებასთან ასოცირდება.

ქირურგის თქმით კი, პრეზიდენტის მეუღლე ბრწყინვალედ გამოიყურება.

43 წლის კეიტ ბეკინსეილი თავისზე ორჯერ უმცროსზეა შეყვარებული

ბრიტანელ მსახიობ კეიტ ბეკინსეილს, რომელმაც თავისი 43 წლისთავი იზეიმა, რომანი აქვს თავისზე ასაკით ორჯერ უმცროს მსახიობთან.

ბეკინსეილი 21 წლის მეთ რაიფთან ერთად ნახეს. წყვილი დასავლეთ ჰოლივუდში (აშშ, კალიფორნიის შტატი) იმყოფებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, მსახიობებმა ერთმანეთი საერთო ახლობლის წყალობით გაიცნეს და საკუთარ ურთიერთობას ოფიციალური სტატუსი მიანიჭეს.

აღსანიშნავია, რომ ბეკინსეილის ახლობლები მისი შეყვარებულის მიმართ დადებითად არიან განწყობილები და მათ ურთიერთობას მხარსაც უჭერენ.

– ის თავისი ასაკისთვის საკმაოდ მომწიფებული და შესანიშნავი ყმაწვილია, განაცხადა წყვილთან დაახლოვებულმა პირმა, რომელმაც ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი 2



შვეულად: 1. გარეგნული მომხიბვლელობა, მიმზიდველობა; 2. ბუვიეს რომანი; 3. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. ფულის ერთეული ვიეტნამში; 5. ჩაის მწარმოებელი ინგლისური ფირმა; 8. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელის“ კომპოზიტორი; 10. კაკაოსგან მომზადებული ტკბილეული; 12. დაბალი ხარისხის შაქარი; 13. ხელოვნური გამოქვაბული პარკებში; 15. ყვითელი წვნიანი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

თარაზულად: 1. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 6. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 7. სამხედრო გადატრიალების მომწყობ შეთქმულთა ჯგუფი; 10. წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე; 11. წითელი ზღვისპირა კურორტი იორდანიაში; 13. ისტორიული ციხე-ქალაქი ბათუმის მახლობლად; 14. ხორბლის ქართული ჯიში; 16. ყველაზე დიდი მდინარე პირინეის ნახევარკუნძულზე; 17. ბუნებრივი განიავება, ვენტილაცია; 18. ეგვიპტელი კინოვარსკვლავი მამაკაცი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა